ნაპილული

142/2
2002



საქართველოს მოძავალი

◀ თბილისის 191-ე სკოლა, I კლასი,
ხელმძღვანელი ეკა ჯობახიძე

▶ თბილისის 191-ე სკოლა, II კლასი,
ხელმძღვანელი ირინა ჩობაქიძე

◀ თბილისის 191-ე სკოლა, I კლასი,
ხელმძღვანელი მანანა ახობაძე

▶ თბილისის 191-ე სკოლა, I კლასი,
ხელმძღვანელი ია შუბითიძე

ნაკადულის ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2002 წ. № 9

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნათესაურზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ იწოდა, 1990 წლიდან კი იგი ისევ თავისი პირველანდელი სახელით გამოდის.

დეკემბერი

ახალი კალენდრით დეკემბერი წლის ბოლო, მეთორმეტე თვეა, ძველი რომაული კალენდრით კი იგი მეათე თვე იყო და მისი სახელწოდებაც ამასვე ნიშნავს. „დეცემ“ ლათინურად ათია.

დეკემბრის ძველქართული სახელია ტირისდენი, ქართული ხალხური სახელი კი ქრისტეშობისთვე.

ნიკო კეცხოველი:

ზამთარი თავისას იზამს, ქარითა და თოვლით გვეწვევა. მართალია, დეკემბერს ზოგჯერ სითბო შემოჰყვება ხოლმე, მაგრამ ხშირია, როდესაც ჩრდილოეთიდან წამოსული სიცივე შემოიჭრება შავი ზღვის სანაპიროთი და სუსხს მოჰფენს კოლხიდაში, გადმოივლის ლიხის მთას და ქართლ-კახეთშიც ჩამოყრის თოვლს. ხშირად ამ დროს ნახევარ მეტრამდე თოვლი მოდის; თოვლს ყინვაც მოსდევს. იშვიათი არ არის, როცა დეკემბერში ყინვა ქართლში და გარეკახეთში 20 გრადუსზე მეტია ხოლმე.

ფოთლოვანი ტყე უკვე მთლიანად სამოსშემოძარცვულია. მხოლოდ ზოგიერთ მუხას შერჩენია გამხმარი ფოთოლი, რომელიც მაშინვე ჩამოცვივა, როდესაც ფოთლის იღლიაში მოთავსებული კვირტი ადრე გაზაფხულზე გაიბერება.

ადარც ყველა ხეს ასხია ნაყოფი, უმრავლესობა ან ჩამოსცვივდა და ციყვმა და თაგვმა მოიტაცა, ან ღორის კოლტმა შეჭამა; არც მოძუნძულე დათვმა დაიკლო რამე. ზოგი კი ხალხმა ჩაზიდა სოფლებში, კერკი და ჩირი გააკეთა–ხმელ ხილად დაიტოვა.

ნაყოფი ჯერ კიდევ შერჩენილი აქვთ წითელსა და შავ კუნელს, ცირცელს. ბევრგან ხრიოკებზე კოწახურს დაუხრია თავი, წვრილი ნაყოფით დატვირთულს. ჯაგიანებში სირვაშლას შავი და მოწითალო ნაყოფიც შეიმჩნევა. ჭალის ტყეებში ყველაზე მეტია ხეზე ასული ეკალღიჭის ნაყოფი „კურკანტელა“. კატაბარდას ბუსუსიანი თესლითაც გადაპენტილა მისი გრძელი ტოტები, მაგრამ დიდი ყინვის შემდეგ მალე ეს ბუჩქები და ხეებიც მთლიანად შემოიძარცვება, სხვა არა იყოს რა, უსაზრდოოდ დარჩენილი თითო-ოროლა ფრინველი არ დატოვებს.

მწვანედ ტყეში შქერი, წყავი, ბაძგი, თაგვისარა, ძმერხლი, ბზა და ხეზე ასული სურო მოჩანს. ისინიც უმთავრესად დასავლეთ საქართველოში. ჩვენს სხვა მხარეებში კი ესენი იშვიათია, აქ უფრო ჩვეულებრივია სურო, ზოგან თაგვისარა. მუხაზე, ვერხვზე, პანტაზე და სხვებზე მწვანედ მოჩანს ფითრი. ჩხიკვი და ჩხართვი ხან ერთ ხეზე დაიჭახჭახებს, ხან–მეორეზე. ფითრის ნაყოფს ეტანება. ნაბოსტნარში და ნაბალჩევში კურდღელი ჩაცუცქულა. შეშინებულ თვალებს აცეცებს და თან გემრიელად ახრამუნებს კომბოსტოს მურსა და ბოსტანში დარჩენილ ძირხვენებს.

ძელა სოფლისაკენ ნელ-ნელა მოიპარება. რა ქნას, თაგვი, მინდვრული, ხვლიკი და მისთანანი იშვიათად გამოდიან დღის სინათლეზე, უფრო სოროში ატარებენ დროს, ზოგი ზამთრის ძილს მისცემია. მინდვრად დააკლდა საკვები, სოფელში უნდა იშოვოს ქათამი ან ბატი. მგელი კი ცხვრის ფარეხების შორიახლოს დაძრწის, მასაც ფერდები ჩასცვივნია, კბილებს აკაწკაწებს.

დათვი ჯერ არ დაწოლილა, მაგრამ თავჩაღუნული დადის და ბურტყუნებს, ეძებს ისეთ ადგილს, სადაც მიეცემა ზამთრის ძილს.

დადგა გულისგული ზამთარი და კარზე მოაკაკუნა მომავალი წლისათვის მზადებამ და ახალმა ზრუნვამ.

შობა-ახალ წელს გილოცავთ!
მრავალს დაესწარით აყვავებულ, აღორძინებულ საქართველოში!

22572



„ნაბეჭდის“ საინფორმაციო საგანგებო „ფაქტი“

ხუთთავეული პიანისტის ნახმატება იტალიაში

დიდ წარმატებას მიაღწია იტალიაში, რომში გამართულ ფრედერიკ შოპენის სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსში რუსთავის №-4 სამუსიკო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლემ დავით მეტივიშვილმა (პედაგოგი ნუნუ ჭელიძე). დათომ შესანიშნავად დაუკრა ჰაიდნის, შუმანის, ბახის, შოპენის ნაწარმოებები და კონკურსის მეორე პრემია და ლაურეატის წოდება დაიმსახურა. ეს ნორჩი მუსიკოსის ზედიზედ მეორე დიდი გამარჯვებაა, შარშან დეკემბერში 10 წლის დავით მეტივიშვილს ათენის საერთაშორისო კონკურსში პირველი პრემია და ლაურეატის წოდება მიანიჭეს.

„ოხბი“ ოპერის სცენაზე

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა კულტურის ცენტრ „იმედის“ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ორბის“ დიდი კონცერტი. სწორედ ამ პროგრამით იმოგზაურა არაერთი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატმა და ილიკო სუხიშვილის სახელობის პრიზის მფლობელმა ანსამბლმა ამ ზაფხულს ესპანეთში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში. იმ 27 დღიანი ტურნეს განმავლობაში პატარა ქართველმა მოცეკვავეებმა 40 კონცერტი გამართეს და მაყურებელთა უდიდესი მოწონება დაიმსახურეს. ცეკვების გარდა, ოპერაში გამართული კონცერტის პროგრამაში ქართულ ხალხურ საკრავთა ტრიოს ნომრებიც იყოს.

პლაკატები შიდსის წინააღმდეგ

შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა გამოფენა, რომელიც ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეაში მოეწყო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უფროსკლასელ მოსწავლეთა ნამუშევრები. შიდსის თემაზე. გამოფენილი პლაკატების ავტორებმა სხვადასხვა ხერხით გამოხატეს საკუთარი პროტესტი ამ საშინელი სენის წინააღმდეგ. „სასიკვდილო სიმფონია“, „ერი იღუპება“, „გონს მოეგეთ!“ „განგაშის ზარი გვიხმობს“, „შიდსი სასიკვდილოა“, „მომავალი იღუპება“, „დაფიქრდი მომავალზე!“ – ასეთი იყო პლაკატების სახელწოდებები და შესაბამისად–მათი ავტორების დამოკიდებულება შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომისადმი და მასთან ბრძოლისადმი.

საღამო თემაზე „მსახიობი და მასწავლებელი“

თბილისის ილია ჭავჭავაძის 23-ე საშუალო სკოლაში გაიმართა საინტერესო საღამო თემაზე „მსახიობი და მასწავლებელი“, რომლის მთავარი გმირები იყვნენ იუბილარი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ზანდა იოსელიანი და ღვაწლმოსილი პედაგოგი თამილა მდივნიშვილი, რომელიც 35 წელია ამ სკოლაში ასწავლის. საღამოზე მოწვეულები იყვნენ აგრეთვე შესანიშნავი სტუმრები მსახიობები ნინო ჩხეიძე და ზინა კვერენჩხილაძე. მოსწავლეებმა გულთბილი მისალმებით, ხალხური სიმღერებითა და სხვა მშვენიერი მუსიკალური ნომრებით ასიამოვნეს.

ინფორმატიკა ფრანგულად

თბილისის 51-ე სკოლის შენობაში განთავსებული „ვერის უბნის ლიცეუმის“ მოსწავლეები უცხო ენის სწავლას პირველი კლასიდან იწყებენ, ინფორმატიკისას–მეხუთე კლასიდან, მეექვსე-მეშვიდე კლასებში კი ბავშვები უკვე უპრობლემოდ ეუფლებიან ინფორმატიკას და მათემატიკას ფრანგულ ენაზე.

ასეთ პრინციპზე აგებული სწავლის მთავარი მიზანია ფრანგული ენის ძალდაუტანებლად, თამაშ-თამაშ დაუფლება. ლიცეუმში მომზადებული ყმაწვილები ინფორმატიკის ქართულ-ფრანგულ ინსტიტუტში გაგრძელებენ სწავლას.

ბავშვებმა პალატის ჯედლები მოხატეს

სულ სხვანაირი იერი შეიძინა ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკო-ჰემატოლოგიურმა განყოფილებამ, მისმა ჰოლმა და პალატებმა მას შემდეგ, რაც პატარა პაციენტებმა თავისი ხელით მოხატეს ისინი. ამიერიდან ვარდისფრად შეღებილი, მანქანებით, მზით, ხალიჩით, ყვავილებით და სახლებით მოხატული კედლები და ფერადვიტრაჟიანი ჰოლი მეტ სინათლეს, სითბოსა და იმედს შეიტანს ლეიკემიით დაავადებული იმ ბავშვების ყოფაში, რომლებსაც კარგა ხანს უწევთ ამ სამკურნალოში ყოფნა. ეს აქცია ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში მირიამ ზაქსის, ელიზაბეტ გასტის ფონდებისა და ჯი-პი-აი ჰოლდინგის დახმარებით ჩატარდა.

რევაზ ინანიშვილი

„ზამთარი“

პაპაჩემი ძველი ყაიდის კაცი იყო. ახლა ისეთებს იშვიათადღა შეხვდებით წერა-კითხვა ხარის ბეჭზე ესწავლებინათ, ორი დუქანი კი ჰქონდა: ერთი ზემოთ, სოფლის შუაგულში, „ძილის წყარო“ რომ არის, იმის უკან; მეორე კიდევ ქვემოთ მარტყოფ-ნორიოსკენ მიმავალი გზის პირას, წისქვილის გადასწვრივ.

ვენახებიც ჰქონდა:–„ყარაბულახი“–დიდი, გრძელი ვენახი, და „თოკები“ პატარა, მაგრამ მოვლილი, თავმოწესრიგებული. „ეს დრო რომ დადგა“ (როგორც ადრე იტყოდნენ ხოლმე), დუქნები დააკეტინეს და კინაღამ გააკულაკეს, მაგრამ ღმერთმა აცხოვნოსო,–ვიღაც დიდ კაცზე ამბობდა,–იმან გადამარჩინაო. დარჩა ვენახების ანაბარ?ა. ჯანი არ აკლდა, პირიქით, ჭიდაობდა კიდეც; თოხსა და ბარზე ხომ ზედ იყო შეზრდილი. კოლმეურნეობაში შევიდა. ბრალი უთაურისა და უქნარასი, თორემ მე ცივ ქვაზედაც ვიცხოვრებო. მართლაც კარგად ცხოვრობდა. გაზაფხულსა და ზაფხულში შრომობდა, ხშირბინდამდე შინ არ შევიდოდა. გვიანშემოდგომასა და ზამთარში კი იჯდა მაგიდასთან, წინ შავი ხელადა და თიხის პატარა ჯამი ედგა, სვამდა საფერავის სურნელოვან წვენს და საღეგრძელოებითა და მეგობართან საუბრით სოფლისა და კაცის ურთიერთობის საკითხის გარკვევას ცდილობდა.

სახლი დიდი ჰქონდა – ორსართულიანი, შუშაბანდითა და რიკულებიანი აივნით გამართული, მაგრამ ყველა ოთახს მარნის მომიჯნავე ძველებური დარბაზი ერჩია. დარბაზში აგურის ფილაქანი ეგო და მუხის სქელი დედაბოძი იდგა. ის დედაბოძი ოჯახის მატიანის მაგივრობას ეწეოდა. ზედ ეწერა: ვინ როდის დაიბადა, ვინ როდის გარდაიცვალა, ვინ როდის მონათლეს...

აქეთ, მარნის მხარეს, ერთი კედლიდან მეორემდე, ფარდაგგადაფარებული ტახტი იყო გაგრძელებული. ის ტახტი ჩვენ გვეკუთვნოდა, ჩვენ გადავდიოდით ყირა-ყირას, ბავშვები. თუ ცა ჩამოიქცეოდა და ვერავის დაძახებას ვერ მოახერხებდა, თანამოსუფრეებად პაპა ჩვენ დაგვისხამდა. მჭრელი სასხლავი დანა ჰქონდა. ცივად მოხარშულ ხორცს გრძელ-გრძელ ნაჭრებად დაგვითლიდა. აიღებდა დანის წვერით, გაათიმთიმებდა, გაიკვირვებდა – ოხ-ო-ხო, რა ნაჭერია, ვინც ამას შეჭამს, ნამდვილად მოჭიდავე გახდებაო. მოჭიდავეობა ყველას გვინდოდა. თანაც ძალიან მოგვწონდა მისი დანით დაჭრილი ხორცი და მე და ჩემი ბიძაშვილები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო მეტს შეჭამდა. პაპას ეს ძალიან ახარებდა და დაგვიძახებდა: – ეგრე, გენაცვალეთ, აი, ეგრე, თქვენი ჭირიმე, გაიზარდეთ და გაუმრავლდით პაპასაო.

ობლობაში იყო გაზრდილი, მაგრამ ჩაცმა-დახურვის პეწს, გლეხაცის კვალობაზე საკმაო ღალას უხდიდა. კარგ ვაჟკაცს ტანისამოსიც კარგი უნდა ეცვას, შესაფერისიო. სოფელში ისე არ გავიდოდა, დარიჩინისფერი ქულაჯა და შავადგაპრიალებული ჩექმები არ ჩაეცვა, სარკესთან არ მისულიყო და მოკლედ შეკრეჭილი თეთრი წვერი პატარა მაკრატლით არ შემოეკვერცხა.

თუშური ქუდი ეხურა, ალავერდობას ნაყიდი. მხრებზე თეთრ ყაბალახსაც გადაიგდებდა. წელში გამართული მიდიოდა, ულვაშებში და თვალებში სინათლე უციმციმებდა. ო, ეს სინათლე მაშინ უნდა გენახათ, როცა ის „ზამთარს“ დაიწყებდა. „ზამთარი“ გაგიჟებით უყვარდა. „ზამთრის“ კარგ მთქმელებს ქართლიდან მოიპატიჟებდა. ღმერთი აგრერიგად არ ახსენდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი სოფლის მღვდელს მეგობრობდა. ეს იმიტომ, რომ მღვდელს შესანიშნავი გუნდი ჰყავდა და თვითონაც გასაოცარი მობანე იყო, გასაოცარი მობანე და კაკლების მბერტყავი. სოფლის ყველაზე დიდ კაკლებს იმას აბერტყინებდნენ.

გარდა „ზამთრისა“ პაპას კიდევ უყვარდა : „მრავალჟამიერი“, „შაშვი-კაკაბი“, „ჩაკრულო“, „ბერიკაცი ვარ“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ჩვენი მასპინძლის სასახლეს“ და ორიოდე ასეთი. სხვა დანარჩენს საღლაბუცოს და საბიჭბუჭო სიმღერებს ეძახდა.

ეს ყველაფერი, რაც აქამდე ვთქვი, ზოგი დედაჩემისა და ბიძაჩემის ნაამბობიდან ვიცი, ზოგი რამ მე თვითონ მინახავს, მაგრამ ნანახიდანაც კი ვერც ერთს ვერ გამოგირჩევთ, რომელი როდის მოხდა, რა დღეს. მხოლოდ ერთი საღამო მახსოვს ძალიან კარგად, შობის წინა საღამო.

ეჰეჰეი, ხვალ შობა უნდა გათენდეს. სერები ნისლში შეკარგულან. ნისლი ხეხილის ტოტებზეც იძენძება, ხორხოშელასავით მკვრივ თოვლის ფიფქებს უშენს, სადაცაა თოვლი მიწაზე მოიკიდებს ფეხს, გომურის ბანი გადათეთრებულა კიდეც. ბინდდება. სიბნელე და ნისლი ერთმანეთში ირევა.

ყველანი შინა ვართ, დაბლა, ძველებურ დარბაზში. პაპაც შინ არის. თავისი მჭრელი სასხლავი დანით იმ დღისით დაკლული ღორის ხორცს აბასტურმებს. ბებია, დედაჩემი და ჩემი ძალუებიც დიდ სამზადისში არიან. ღუმელთან ტრიალებენ, ხარშავენ, სწვავენ, ღუმელს გვერდები გასწითლებია და ისე ცხელა, კარი ღია გვაქვს. კარში ჩვენი დიდი, ბანჯგვლიანი სამურა ჩაწოლილა და დროგამოშვებით ნერწყვს ყჭლაპავს, ტუჩებს ილოკავს. ჩვენ, ბავშვები, ტახტზე ვართ ახორხოცებულნი. ვიცით, რომ ალილოზე უნდა ჩამოიარონ, და თვა-

გაგრძელება მე-4 გვ.

ლები გარეთ გაგვირბის.

მართლაც, ის-ის იყო შებინდდა და წამოვიდა მეზობლების მხრიდან ტურების წკავწკავით: „ჰე! ჰე! ჰე!“ მერე ჩვენს ეზოშიც შემოჩოჩქოლდნენ სულ პატარა ბიჭები, ხელში დიდ-დიდი კომბლები ეჭირათ, მამებისა თუ ძმების ფარაჯები ეცვათ, ბოხოხი ქუდები ეხურათ. აგაშენოთ, აგაშენოთ სულმოუთქმელად ჩააჩიხრიხეს:

აქა ღორი დაკლულაო,
ნაყელარი ჩვენიაო...

ბებიამ ხორცი, პურები და ხილი გაუტანა. ფათიფუთით ჩაყარეს მაღალი მებარგული ბიჭის ხურჯინში და გაცვივდნენ სხვა ეზოსკენ, თითქოს ეშინიათ, სხვებმა არ მოგვასწრონო. შეიძლება მართლაც ასე იყო, რადგან ცოტა ხნის მერე სხვები მოვიდნენ, უფრო დიდები. იმათაც იმღერს– თავიანთებურად, ვითომ უფრო დინჯად. იმათაც გაუტანეს ხორცი, პურები და ხილი, დამატებით– ღვინოც, ისინიც წავიდნენ ეზო-ეზო. სიმღერ-სიმღერით. თანდათან მიწყდა იმათი ხმებიც. დაღამდა კარგად. დაწყნარდა ყველაფერი, თითქოს დაიძინა სოფელმა; თოვლის ფიფქებიღა თამაშობენ ფანჯრიდან გასულ შუქზე. მიწა მთლიანად თეთრად არის დაფარული.

ჩვენ ძილი მოგვერია. გაგვიშალეს კიდეც–იქვე, ტახტზე, ოთხივე ბიჭს ერთ მანეთის გვერდიგვერდ. ვიცელქეთ ლოგინში, დავშოშმინდით, ძილისწინა ოცნებებშიღა ვართ და... ეზოს ბოლოში, ალაყაფის კარზე რაღაც რაკარუკი ატყდა, მერე აგაშენოთ, აგაშენოთო,–დაიძახეს ვიღაცებმა წყნარად. პაპამ ბებიას უთხრა:– ისინი მოვიდნენო? ბებია კართან მივიდა, გაიხედა, მობრუნდა და ჩუმად თქვა: –ჰო, ისინი **არიანო. ჩვენ ლ**ოგინიდან წამოვცვივდით და ფანჯარას ვეცით. არავინ არ გაგვწყრომია. პირველად ვერაფერი დავინახეთ, მერე **თანდათან გავარჩიეთ:** ათამდე შავი ლანდი შექუჩებულიყო და რაღაცას ბჭობდნენ. მერე გამოცალკევებული, ხელაწეული მღვდელი ვიცანით–მაღალი, გრძელანაფორიანი, მხრებზე **დალალებ<u>ჩამო</u>შლილი** მღვდელი გაშეშებულივით იდგა. სხვებიც გაშეშდნენ. მღვდელმა ხელი თითქოს რბილად ამოუსვა ჰაერს და ვიღაცამ სუფთა, მშვენიერი ხმით დაიწყო:

ოცდახუთსა ამა თვესა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო...

პირველს მეორე აჰყვა, უფრო სწორად–მეორე ხმამ დაიწყო და ახლა პირველ ხმას მიჰქონდა ლექსი. ეს ხმები ისე განსხვავდებოდა ჩვენ მიერ აქამდე მოსმენილი სიმღერებისაგან, რომ გაკვირვებისა და აღტაცებისაგან თვალებდადიდებულებმა პაპას მივხედეთ. პაპა დედაბოძს მიჰყრდნობოდა, თავი დაეხარა, ულვაშებში და თვალებში ნაცნობი სინათლე ჩასდგომოდა. ბებია, დედაჩემი და ძალუაჩემებიც გაშეშებულებივით იდგნენ და იმათაც თვლები უბრწყინავდათ. სიმღერა რომ ჩათავდა, ბებიამ და ძალუებმა აფუსფუსება განიზრახეს, მაგრამ პაპამ ხელით ანიშნა–ჩუმადო და ისევ ადგილზე გაქვავდნენ. ჩვენ აქამდე ვჩურჩულებდით მაინც და, ეს რომ ვნახეთ, სუნთქვაც კი შევიკარით – ნეტავი რა უნდა მოხდესო. გარეთაც ისეთივე სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო იქ მყოფნი მოჩვენებები ყოფილიყვნენ და გამქრალიყვნენ და აი ამ სიჩუმეში, რომელსაც, ალბათ, თოვლის ფიფქების შარიშური თუ არღვევდა გარეთ, ნელ-ნელა გაიბა კვლავ ის სუფთა, მშვენიერი ხმა, რომელმაც „ალილო“ დაიწყო. მაგრამ ახლა „ზამთარს“ იწყებდა:

ზამთარიაო, ჰეე, ჰარულალო...
ზამთარი ვარდსა დააჭკნობს,
ფურცელნი ჩამოცვივაო...

მას შემდეგ ბარე ოცდაათი წელიწადია გასული. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში კიდევ ბევრჯერ მომისმენია ეს სიმღერა და უთუოდ უკითხავ ოქმულიც მაგრამ, როგორც არ უნდა ასრულებდნენ და სადაც არ უნდა ვიყო – სუფრასთან იქნება თუ გაჩირაღდნებულ თეატრში – მე მაინც ის „ზამთარი“ მესმის, იმ ზამთრის ღამეში ჩამდგარი ლანდები მიდგანან თვალწინ.

ისე ჩაათავეს მთელი სიმღერა, თითქოს არ უნდოდათ ბზარი რამ დაეჩინათ იმ კეთილი საღამოს ყოვლისმომცველი სიმშვიდისათვის. ეს სიმშვიდე რაღაც დიდი, დიდი იმედებით გვივსებდა ბავშვურ პატარა გულებს და გახარებულნი შევყურებდით ხან ერთმანეთს, ხან ჩვენებს. პაპა ისევ დედაბოძზე იყო მიყუდებული. ისევ უბრწყინავდა ულვაშები და თვალები, მაგრამ ახლა თვალებში ცრემლებიც ედგა; კიდევ მეტი–ეტყობოდა, ცრემლის რამდენიმე კურცხალს ყავისფერი ლოყები ჩამოეხაზათ და ქვემოთ, ულვაშებში ჩამშრალიყვნენ. მერე დაინახა, რომ დერეფანში მღვდელი და ერთი კოხტა ახალგაზრდა ბიჭი ამოვიდნენ; ბაღდადი ამოიღო და სახეზე მიისვ-მოისვა. მოველოდით, რომ მღვდელი ლოცვას და ასეთ რაღაცეებს მოჰყვებოდა, მაგრამ მან ფართოდ, სიხარულით გაიღიმა, ახალგაზრდა ბიჭს ბეჭებზე ხელი მოხვია, წინ წამოაყენა და გუგუნა ხმით დაიძახა:

–როგორია, ჰა! როგორია!

პაპამ ბაღდადი აღელვებული ხელით ჩაიჭმუჭნა ქამარში, ბიჭთან მივიდა, მხრებზე ხელები დააწყო, თვალებში ჩააშტერდა და ჯვარედინად გადაჰკოცნა. ესეც არ იკმარა, მიბრუნდა, ჩხიდან ახალთახალი თეთრი ყაბალახი ჩამოიღო, იმ ახალგაზრდა ბიჭს შემოახვია ყელზე, ტოტები უკან გადაუყარა და მაშინღა თქვა:

–ეს საჩუქარი არ გეგონოს, შვილო. შენ რომ მასიამოვნე, მეც მინდა ცოტა რამით გადაგიხადო. ღორები ხომ არა ვართ! ადამიანებს, სალაფავს გარდა ხან ტკბილი სიტყვა გვჭირდება, ხან ტკბილი ჰანგი.

ამასობაში კი დერეფანში მთელი გუნდი ამოლაგებულიყო და კარიდან გასულ სინათლეზე აელვარებდნენ თვალებსა და კბილებს.

აი, ასე დამამახსოვრდა ის შობისწინა საღამო, ბევრჯერაც მიამბნია ხან ვისთვის, ხან ვისთვის. პაპაჩემის სიტყვები, რომელსაც მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევ, ზოგს პატიების გამომხატველ ღიმილს ჰგვრის ხოლმე და ლამის თავზედაც კი მომითათუნონ ხელი. მაგრამ მე მაინც, როცა ახლა ჩემს ნაწერებში რამეს მიხდიან, თუ ის საღამო და ის სიტყვები გამახსენდა, ისე მწარედ აღარ მეჩვენება იმ ფულით შეძენილი ლუკმა.

ნაციონალური ბიბლიოთეკა

დასამახსოვრებელი სახელები

გიორგი ასათიანი

თუმცა ჯერ კიდევ შორს არის ის დრო, როდესაც გიორგი ასათიანი ცხოვრებაში პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯს გადადგამს და იმ გზას აირჩევს, რომელმაც სანუკვარ მიზნამდე უნდა მიიყვანოს, ერთი ახლავე

ცხადია–ასეთი დრო რომ დადგება, იგი ძნელი არჩევანის წინაშე აღმოჩნდება და აი რატომ:

გიორგის ამთავითვე ერთდროულად რამდენიმე მუზა სწყალობს, იგი საუცხოოდ მღერის, მშვენივრად ხატავს და ძერწავს, თხზავს ლექსებს და ამ ლექსებზე მუსიკას წერს და, რაღა თქმა უნდა, ამ სიმღერებსაც თავადვე ასრულებს. მაგრამ თუ პატარა ხელოვანის ამჟამინდელი წარმატებებით ვიმსჯელებთ, ისიც უნდა ვიფიქროთ, მუზები არც მომავალში მიატოვებენ თავიანთ ნებიერს და პატარა გიორგის მრავალწახნაგოვანი ნიჭი კვლავაც ასეთად დარჩება.

მოდით, სიმღერით დავიწყოთ და ვილაპარაკოთ მომღერალ გიორგი ასათიანზე, პირველი სიტყვა კი მივცეთ ქ. თბილისის კულტურის ცენტრ „იმედის" დირეკტორი დ. ჩაჩავა საესტრადო-ვოკალური სტუდია „მეკვლეს" ხელმძღვანელს ბატონ ელდარ მეღვინიშვილს:

„ჩვენი კულტურის ცენტრთან არსებულ ვოკალურ-საესტრადო სტუდია „მეკვლე"-ში სწავლისას გიორგი ასათიანმა არა ერთხელ გამოიჩინა თავი როგორც საუკეთესო ვოკალური მონაცემებისა და არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებების მქონე ბავშვმა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა მისი წარმატებები. გიორგის არა ერთ საქველმოქმედო ღონისძიებაში, სატელევიზიო გადაცემასა თუ ფესტივალში აქვს მიღებული მონაწილეობა, სადაც სიმღერების საუკეთესო შესრულებისთვის შესაბამისად სიგელებით, დიპლომებით და სხვა ჯილდოებით დაჯილდოვდა... სტუდია „მეკვლე" მიწვეული იყო „გარდენ-ჰოლში", სადაც გიორგი საუკეთესო სიმღერებით წარსდგა, ეს ღონისძიება ტელევიზიის პირველმა არხმაც გააშუქა. გარდა ამისა, გიორგის შემოქმედებას პერსონალური სატელევიზიო გადაცემა მიეძღვნა, მის შესახებ გადაღებულია რამდენიმე კლიპიც".

ახლა სიტყვა კონცერტმეისტერ ქალბატონ ლამზირა ჩინჩალაძეს მივცეთ, რომელიც ორი წელია გიორგის ფორტეპიანოში ამეცადინებს და ძალიან კარგად იცის თავისი მოსწავლის შესაძლებლობები:

„გიორგი გამოირჩევა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით, მას აქვს უაღრესად კარგი სმენა, რითმის და ტაქტის გრძნობა, იგი ვოკალურად ძალზე განვითარებულია, ეს ყოველივე კი სრულად აისახება მის შემოქმედებაში. გიორგისთან მეცადინეობა დიდი სიამოვნებაა".

დამეთანხმებით, რომ ისეთი საუცხოო მომღერლის და შემოქმედის შეფასებას, როგორიც ბ-ნი მერაბ სეფაშვილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. (ბ-ნ მერაბს ბევრჯერ მოუსმენია გიორგისთვისაც და ბევრი მისი თანატოლისთვისაც, ისე რომ მან ძალიან კარგად იცის, რა განასხვავებს გიორგის დანარჩენებისაგან): „მახარებს, რომ ვოკალურ სტუდიებში მრავალ ნიჭიერ ბავშვს შევხვდი. განსაკუთრებით მინდა გამოვყო თბილისის კულტურის ცენტრ „იმედთან" არსებული ვოკალურ-საესტრადო სტუდია „მეკვლეს" აღსაზრდელი 10 წლის გიორგი ასათიანი. მოვისმინე მისი სოლო სიმღერები და მისმა ვოკალურმა მონაცემებმა, შესრულების თავისებურმა მანერამ და მეტად საინტერესო ხმის ტემბრმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. თუ გიორგი ისეთივე შემართებით გააგრძელებს მეცადინეობას მუსიკასა და ვოკალში, მომავალში იგი ღირსეულ ადგილს დაიკავებს მომღერალთა შორის".

მაღალ შეფასებას აძლევს გიორგის ცნობილი კომპოზიტორი ბორის თბილელიც:

„განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო გიორგი ასათიანის სმენა, საინტერესო და განსხვავებული ხმის ტემბრი. გავიგე, რომ

თურმე, გარდა იმისა, რომ გიორგი სიმღერების გამორჩეული შემსრულებელია, იგი კომპოზიციის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. როცა მოვისმინე მისი „შემოდგომა", „დედას" და „მზის სხივი", გამოგიტყდებით, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. თუ ისეთ ნიჭიერ ბავშვებს, როგორიც გიორგი ასათიანია, საჭირო ხელშეწყობა და მზრუნველობა ექნებათ, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის მუსიკალური სამყარო შესანიშნავ თაობათა ცვლას მიიღებს".

გიორგი ძირითადად სტუდია „მეკვლეს" ხელმძღვანელის ელდარ მეღვინიშვილის სიმღერებს მღერის. თითქმის ყველა ამ სიმღერის ტექსტის ავტორი კი ირინა ჩავლეიშვილი გახლავთ. სწორედ საგანგებოდ მისთვის დაწერილი ამ სიმღერებით გაიმარჯვა გიორგიმ მრავალ კონკურსსა თუ ფესტივალში. საუცხოო მუსიკალური სმენისა და სასიამოვნო ხმის ტემბრის გარდა, გიორგი თავად მუსიკის, მელოდიის, სიმღერის არსის შეგრძნების საოცარი უნარით არის დაჯილდოებული. პატარა მომღერალი ისეთი გრძნობით, ისეთი გზნებით მღერის, ისე მიყვება მელოდიას და სიტყვებს, რომ მთლიანად იძირება სიმღერაში. დაიწყებს სიმღერას, გრძნობა-

გაგრძელება მე-6 გვ.

მორეული დახუჭავს თვალებს და მუსიკის ჰანგს აყოლილი, სხვა, მშვენიერ, საოცნებო სამყაროში აღმოჩნდება და მისი სიმღერით მოხიბლულ მსმენელსაც იქით უხმობს...

თავში ჩვენ ვთქვით, რომ გიორგი ლექსებსაც წერს. წერს სამშობლოზე, დედაზე, ბუნებაზე. ზოგი ლექსი ისეთი გამოსდის, რომ თვითონვე სთხოვს სიმღერად გადაქცევას. თვითონაც არ იცის გიორგიმ, როგორ შემოეპარება მელოდია, რომელიც საოცრად ესადაგება მისი ამა თუ იმ ლექსის განწყობას თუ შინაარსს, ჯერ სადღაც შიგნით, სულში, გულში თუ თავში ეტრიალებს, მერე ღიღინს მოსთხოვს და იბადება მუსიკა. ასე იყო, როცა დედიკოს წარმატებით გახარებულმა, რომელიც ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრის თანამშრომელი გახლავთ, (ქალბატონმა ნინომ მაშინ ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიცვა), ლექსი უძღვნა მას, ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ლექსმა ამღერება მოსთხოვა. ასე დაიწერა „გაზაფხულიც“, „შემოდგომაც“ და „მზის სხივიც“ (დღეს ჩვენ ვბეჭდავთ გიორგი ასათიანის სამივე ამ ლექსს). ვინაიდან გიორგის ჯერ არ შეუძლია მელოდიის ჩაწერა, ნოტებზე გადატანა, მას ამაში ქალბატონი ლამზირა ჩინჩალაძე ეხმარება.

სპეციალისტებს, პროფესიონალებსა და მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ნიჭიერი ყმაწვილი. გიორგის მრავალ ღონისძიებაზე, კონცერტზე, ფეტსივალზე თუ კონკურსზე იწვევენ და ყოველი მისი გამოსვლა მორიგი წარმატებით გვირგვინდება და მის შემოქმედებით ზრდაზე მეტყველებს. გიორგის უკვე იმდენი ჯილდო, პრიზი, სიგელი თუ დიპლომი აქვს მოპოვებული, რომ მალე ალბათ, ასათიანების ოჯახში მათი სათვალავიც კი აერევათ. თავად განსაჯეთ: „გრან-პრი“ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ თბილისისა და ქუთაისის ქორეოგრაფიულ და საესტრადო სტუდიათა შოუ-ფესტივალში „საქართველო–2001“; თბილისის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების სიგელი და დიპლომი ბავშვთა და მოზარდთა საესტრადო სიმღერის და თანამედროვე ცეკვის ფესტივალში მონაწილეობისთვის; საქართველოს კულტურის ცენტრის კავშირის დიპლომი და „გრან-პრი“ სკოლების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე მოპოვებული გამარჯვებისათვის; დიპლომი კულტურის ცენტრ „იმედი“-ს მიერ ჩატარებულ საქველმოქმედო კონცერტში „საქართველო მრავალჟამიერ“ მონაწილეობისთვის; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თასი, სიგელი, დიპლომი და ფასიანი საჩუქარი; სპეციალური თასი „გრან-პრი“, თბილისის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის საბურთალოს რაიონული განყოფილების მიერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ბავშვთა და მოზარდთა საესტრადო სიმღერის ფესტივალში ნომინაციაში „საუკეთესო დუეტი“ და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ ნუსხაში არ შედის ის ჯილდოები, რომლებიც გიორგის სხვადასხვა გამოფენასა თუ კონკურსზე წარმოდგენილი ნახატებისა თუ ნაძერწებისთვის აქვს მიღებული. ხომ გახსოვთ, ზევით რომ ვთქვათ, გიორგი ყველაფერთან ერთად მშვენივრად ხატავს და ძერწავსო, ახლა გვინდა ჩვენი სიტყვები იუნესკოს მხატვართა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრის დავით ალექსიძის შეფასებით განვამტკიცოთ: „გიორგი ასათიანის ნამუშევრები გამოირჩევა ნატურალიზმის აღქმის მაღალი უნარით და მხატვრული ტემპერამენტით, დამაჯერებლობით და ფერთა უნიკალური შეხამებით. იგი არა მარტო სიამოვნებით ხატავს, არამედ დიდი ექსპრესიით, შინაარსიანად ძერწავს ადამიანებსა და სხვა ფიგურებს. ამასთან იგი ამჟღავნებს მაღალ უშუალობას და ინტერპრეტაციის უნარს. უეჭველია, მონდომებისა და პროფესიული ცოდნის შეძენის შემდეგ გიორგი ასათიანი შეძლებს ღირსეული ადგილი დაიკავოს სამხატვრო ხელოვნებაში“. (გიორგის ნახატების რეპროდუქციები იხილეთ ჟურნალის გარეკანის მეოთხე გვერდზე)

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით გიორგი ასათიანზე როგორც შემოქმედზე, ხელოვანზე, ახლა კი გვინდა გაგაცნოთ გიორგი ასათიანი როგორც პიროვნება. დიახ, ეს პატარა ადამიანი თავისი პრინციპებით, გაგებით, აზროვნებით უკვე პიროვნება გახლავთ.

თქვენი აზრით, როგორი ადამიანია რაინდი? კეთილშობილი, სამართლიანი, გონიერი, კეთილი, უშიშარი, ზრდილი–ხომ ასეა? აი ასეთი გახლავთ 10 წლის გიორგი ასათიანი და სწორედ ამ თვისებებისთვის მიანიჭეს მას შარშან მშობლიურ სკოლაში, დავით აღმაშენებლის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე წლის საუკეთესო რაინდის წოდება. რადგან ეს რაინდი თბილისის კეთილშობილ ქალთა და ვაჟთა პანსიონ „მთიებში“ სწავლობს, ალბათ, ყველაზე უკეთ მას სასწავლებლის დირექტორი დაგვიხასიათებს: „გიორგი გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭიერებით, ცოდნით და აღზრდილობით. ამავე დროს იგი არის ძალზე შრომისმოყვარე, გულმოდგინე და ნებისყოფიანი ყმაწვილი. ყველა საგანს ერთნაირი წარმატებით ეუფლება და კლასგარეშე ლიტერატურასაც სიამოვნებით კითხულობს. გიორგი ყოველთვის მზად არის მეგობრების, თანაკლასელების დასახმარებლად. მისი ქცევა ყოველთვის ზნეობრივი და სხვებისთვის მისაბაძია. გიორგი აქტიურად და ხალისით მონაწილეობს საპანსიონო ღონისძიებებში და მუდამ წამყვან როლს ასრულებს... ყველა ამ თვისებით რომ არის შემკული, იმიტომ იქნა არჩეული შარშან წლის საუკეთესო რაინდად“.

დაიმახსოვრეთ ეს სახელი – გიორგი ასათიანი და გწამდეთ, რომ გაივლის დრო და მისი სახით თვითმყოფადი ნიჭით დაჯილდოებული, გამორჩეული შემოქმედებითი სტილისა და ხელწერის ხელოვანი მოგვევლინება.

დედას

არა საქმე არ იქნება,
ზარამ თუ არ ახება,
ოქროს ფინიგ ბეჭედი და ფანთოს
შენი ფამფარეფილება,
ძმისას ერთად ენას მეფლეოდეს
ძირადი სახელი,
თაფნე ჩუდამ ფაჯ ენათოდეს
ნეძდა ხმის ნათელი.

მზის სხივი

ფანგარაში შემოქარა მზის სხივი,
ჩემს ფეხებთან მოიყარა მუნელი,
ანალი დიე ძალიან ადვილად მეკინის,
ოქროს ამბისთვის დიდ მადლობას ეუნდი.
ფრიფარდამ ანთენილი ანარა,
ნეკეს ისევ ეუძ ერდათ ეული,
ყვავილების თოვლი ეადიმანფარა,
ოქროს ამბისთვის დიდ მადლობას ეუნდი.

შემოდგომა

შემოდგომა შემოდგა, ეაფითლდა ფოთლები,
ალეფს ქარმა დაუბერა, ეაძიძალა ტოტები,
თბილ ქვეყნებში ნიკლები ძალრიბავენ,
სარეთველოს მთა და ბარი ეადეფრიბეს.
ეანეს თავი დაუხრია ლიბრ ზე ქრეადასხმული,
სერხანელში ფერეფრა თეთრი ღეფნი კანური.
ბრიანში ეი ბალარი ლოს, ეარეთ ახვე ქარა,
ეაუმარეოს სარეთველოს ძალსა და ბრიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ართ-ჰოლი“ – ხელოვნების სახლი

გთავაზობთ საუბარს ბავშვთა ხელოვნების სტუდია „ართ-ჰოლის“ ხელმძღვანელთან მსახიობ გოგა პიპინაშვილთან

–ბატონო გოგა, როდის და როგორ გაჩნდა თეატრალური ხელოვნების ისეთი სტუდიის შექმნის იდეა, სადაც ბავშვები ყველაფერს თვითონ გააკეთებდნენ?

–სტუდიის შექმნის იდეა ბატონ მიხეილ თუმანიშვილს ეკუთვნის. მოხდა ისე, რომ როცა უკვე უნდა შევდგომოდით იდეის განხორციელებას, როცა სტუდია არსებითად უკვე დაფუძნდა და უკვე ბავშვების პირველი ნაკადიც უნდა მიგვეღო, ბატონი მიხეილი, ანუ ადამიანი ვისგანაც იდეა მომდინარეობდა, გარდაიცვალა. ჩვენ, მისი მოწაფეები, რომლებსაც პრაქტიკულად უნდა გაგვეხორციელებინა დიდი მასწავლებლის ჩანაფიქრი, არჩევანის წინაშე აღმოვჩნდით–ან უნდა შეგვეწყვიტა წამოწყებული საქმე, ან ბოლომდე უნდა მიგვეყვანა იგი. გადაწყდა, რომ რადაც უნდა დაგვჯდომოდა, თუმანიშვილის იდეას ხორცს შევასხამდით. „ართ-ჰოლის“ დაბადების წლად კი 1996 წელი ითვლება.

–ასეთი სახელწოდება რატომ შეარჩიეთ, რას ნიშნავს „ართ-ჰოლი“?

–მოგეხსენებათ, სიტყვა art ხელოვნებას ნიშნავს, holl კი დარბაზს, სახლს და რაკი ჩვენი სტუდია სწორედ ხელოვნების დარბაზი, სახლი უნდა ყოფილიყო, სადაც ხელოვნების სხვადასხვა დარგის სტუდიები იქნებოდა თავმოყრილი, ამ სახელზე შევჩერდით.

–ახლა კი „ართ-ჰოლის“ საქმიანობაზე ვისაუბროთ. თქვენ ბრძანეთ, რომ სტუდიის იდეაში ჩადებული იყო ბავშვების დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის პრინციპი, რამდენად ხორციელდება იგი, რას საქმიანობენ სტუდიელები?

–დღევანდელი სტუდიელები „ართ-ჰოლის“ მესამე ნაკადს წარმოადგენენ, თითოეულ ნაკადს ორ-ორი წელი უწევს ჩვენთან ერთად მოღვაწეობა. აქ ჩვენ სხვადასხვა სასწავლო სტუდია გვაქვს. მაგალითად, ყმაწვილ ჟურნალისტთა სტუდია, რომელსაც აქვს თავისი გაზეთი, თავისი რადიოსტუდია და სხვ. არის ქორეოგრაფიის, მუსიკის, ხატვის, კერვის, გობელენის, მაკრამეს და სხვა ჯგუფები. არჩევანში ბავშვები თავისუფლები არიან, თითოეული ირჩევს იმას, რაც მოსწონს, აინტერესებს, რისკენაც გული მიუწევს. ისინი, ვინც თეატრზე შეაჩერა არჩევანი, თვითონვე არჩევენ სცენაზე დასადგმელ ნაწარმოებს, ზოგჯერ თვითონაც წერენ, სპექტაკლის მუსიკალურ თუ მხატვრულ გაფორმებაზეც თავად მუშაობენ, ცხადია, პედაგოგების დახმარებით და მონაწილეობით.

ჩვენს პირველ წარმოდგენას პირობითად „სიზმარი“ დავარქვით. ეს გახლდათ ფოლკლორული სანახაობა, სიტყვა თითქმის არ იყო გამოყენებული, დადგმა ცეკვებზე, სიმღერებზე და პლასტიკურ სცენებზე ავაგეთ. უნდა გითხრათ, რომ კარგი სპექტაკლი გამოვიდა, ჩვენი ბავშვებიც კმაყოფილები იყვნენ და ჩვენი მაყურებლებიც.

მეორე ჩვენი წარმოდგენა არჩილ სულაკაურის ზღაპრის „სალამურას თავგადასავალის“ მიხედვით დავდგით და მას „ქონდრის კაცები“ ვუწოდეთ. სპექტაკლში დღვანდელი სტუდიელების უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა.

–ეს სპექტაკლი მთლიანად მხოლოდ ბავშვებმა მოამზადეს?

–როგორ გითხრათ, „ქონდრის კაცების“ დამდგმელი გახლდათ ჩვენი დიდი მეგობარი გიორგი სიხარულიძე, რომელსაც გარკვეულ დრომდე სტუდიაში თავისი ჯგუფიც ჰყავდა და რომელიც დღესაც გვერდში გვიდგას. სპექტაკლის დანარჩენი კომპონენტები ბავშვებმა შეარჩიეს და მოამზადეს, ცხადია, პედაგოგების ჩართვით.

საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მიზანი სპექტაკლების დადგმა ნამდვილად არ გახლავთ. ჩვენთან დანერგილია ინტეგრირებული სწავლების გარკვეული პრინციპი და ჩვენი მიზანიც ეს არის. რა თქმა უნდა, ამასთან ვფიქრობთ და ვზრუნავთ იმაზე, რომ შედეგი უტყუარი და მაღალი იყოს.

გაგრძელება მე-8 გვ.

ამჟამად საახალწლო წარმოდგენაზე ვმუშაობთ. მზადება დავიწყეთ, მაგრამ არ ვიცოდით, კონკრეტულად რას გავაკეთებდით. უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენ, პედაგოგები, არ ვკარნახობთ ბავშვებს, ისინი თვითონ წყვეტენ, თვითონ ირჩევენ რა გააკეთონ, ასე იყო ამჯერადაც, თავად ბავშვებს მივანდეთ იმის შექმნა, რისი გაკეთებაც უნდოდათ. რაღაც-რაღაცები დაწერეს, წაიკითხეს, რაღაც მოიფიქრეს. ვნახოთ...

–ბატონო გოგა, არსებობს აზრი, რომ „ართ-ჰოლში“ უმეტესად დიაბეტით დაავადებული ბავშვები მოდიან. მართლა ასეა, მართლა მარტო დიაბეტიან ბავშვებს ეხმარებით?

–დავიწყოთ იმით, რომ მე არავის ვეხმარები, ის, რასაც მე ვაკეთებ, არ არის არანაირი დახმარება. ელემენტარულად ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელიც დგას ყველა ბავშვის გვერდით, მნიშვნელობა არა აქვს დიაბეტიანია თუ არა იგი, დიაბეტი აქვს ჩემს პატარა გოგონასაც... ჩვენ, ყველა ბავშვი და მე, ვართ ერთნი, ჩემი დახმარება ჩვენი ერთად ყოფნაა, თუ ამას დახმარებას დავარქმევთ. მთავარი ის გახლავთ, რომ ჩვენ ერთად ყოფნის სურვილი გვაქვს.

–თავად „ართ-ჰოლს“ თუ ეხმარება ვინმე ფინანსურად ან სხვა მხრივ?

–„ართ-ჰოლს“ არავინ ეხმარება, მხოლოდ ჩვენ, ჩვენ თვითონვე ვეხმარებით საკუთარ თავს. ყველაფერი, რაც აქ, სტუდიაში გაკეთდა–შეღებვა, შპალერის გაკვრა თუ შეთეთრება–ჩვენი ხელით არის გაკეთებული, ყველანი ერთად ვმუშაობდით, დიდებიც და პატარებით. ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში არ არიან ადამიანები, რომლებსაც სურვილი ჰქონდეთ მხარში ამოუდგნენ „ართ-ჰოლს“, თანადგომას ვერავის დააძალებ. ჩვენთვის ვერავინ ვერაფერს იმეტებს და ეს მაშინ, როდესაც ჯერ ჯერობით პროფესიულ დონეზე ჩვენს სტუდიას ანალოგი არა აქვს. დაუფინანსებლობის გამო ვერც სხვა ქვეყნებში გავდივართ, ინტერნეტის მეშვეობით ბევრგან იციან ჩვენ შესახებ, ბევრგან გვიწვევენ, მიწვევამიწვევაზე მოგვდის, მაგრამ... რომელ უცხოეთში გამგზავრებაზეა ლაპარაკი, როცა ხშირად დენიც კი ბრა გვაქვს ხოლმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი მხარში დგომაზეა ლაპარაკი, უთუოდ უნდა ითქვას მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრზე, რომელიც ყოველთვის მზად არის ჩვენ დასახმარებლად. თეატრის ტექჰერსონალი უშურველად გვიმართავს ხელს. გვეხმარება დეკორაციებით, კოსტიუმებით და ა.შ. თეატრი თავის დარბაზსაც დიდსულოვნად გვითმობდა ხოლმე ჩვენი წარმოდგენებისთვის, მომავალი, საახალწლო წარმოდგენის დადგმასაც აქ ვფიქრობდით, მაგრამ ამჟამად თუმანიშვილის თეატრში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და ვნახოთ, თუ იმ დროისთვის მოესწრება, კვლავაც იქ გავმართავთ წარმოდგენას, თუ არადა და ალტერნატიული დარბაზი უნდა მოვძებნოთ. საერთოდ, იმედი გვაქვს, რომ თუმანიშვილის თეატრს ახლო მომავალში მცირე სცენაც ექნება და ალბათ „ართ-ჰოლსაც“ ექნება შესაძლებლობა ამ სცენით ისარგებლოს.

–და მაინც, ბატონო გოგა, თქვენ უწინარესად მსახიობი ბრძანდებით და...

–გასაგებია, თქვენ გინდათ მკითხოთ, ხელს ხომ არ უშლის „ართ-ჰოლი“ მსახიობ პიპინაშვილს, გიპასუხებთ: თუ იქნება ეს სტუდია, იქნებიან ეს ბავშვები, იქნება გოგა პიპინაშვილი–მსახიობიც, „ართ-ჰოლი“ უნდა იყოს, უნდა იყვნენ ეს ბავშვები და მაშინ ვიქნები მეც.

ესაუბრა თამუნა გველესიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუხრან მაქაგარიანი

გილოცავ!

გილოცავ!
გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ—
შენ—
ვისაც საშობლო გიყვარს...
გელა ხარ!
თინა ხარ!
შოთა ხარ!—
ეს სულ ერთია—
ვინ ხარ!
ახალი წელია...
თოვლიც ბევსალმება,
თოვლიც ბევსალმება ციდან.
—ცრემლები?!
—ცრემლებზე ბოდიში!
—ოიმილი?!
—ოიმილი,—
რაძლენიც გინდა.
ბავშვებო!
თქვენსავით მეც ვიყავ მოსწავლე.
მე დღესაც არ ვსწავლობ განა?!
ამიტომ ერთმანეთს, ამიტომ ერთმანეთს—
ვუსურვოთ ხუთებზე სწავლა.
გიყვარდეს საშობლო,
სიმართლე გიყვარდეს,
გიყვარდეს, გიყვარდეს წიგნი,
რაც უნდა ისურვი,
რაც უნდა ინატრო,—
ესაა ყველაზე დიდი.
გილოცავ!
გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ—
შენ—
ვისაც საშობლო გიყვარს...
ზაზა ხარ!
ლაშა ხარ!
ვაჟა ხარ!
ნინო ხარ!—
ეს სულ ერთია—
ვინ ხარ!

ძურძან ლოებანიძე

ყველას! ყველას! ყველას!

(საახალწლოდ)

ქართლ-კახეთად, იმერეთად,
საძეურნელოდ, გურიად,
ვისაც ჩვენი გაყოფა
და გათიძვა სწყურია,
ან ქაკვიანი მტერი არის,
ან უგხური მოყვარე
ამიტომაც სადაც წავწვდი,
ერთიანად მოვთნარე.

მიყვარს—მტკვარი,
მიყვარს—ქსანი,
ტენგერა და ენგური!
მიყვარს „ლილე“,
მიყვარს „ლალე“,
მიყვარს „ჩელა“
მეკრული...

მაგრამ ყველას მირჩევნია
ერთ დიდ ძუძტად შეკრული,
რა თქმა უნდა, საქართველოვ,
შენი ძმე და შენი ცა,
მრავალ ანალ, მრავალ ანალ,
მრავალ ანალ წელიწადს!

ნათელა ნავთასი

ბედნიერება და დიეკრძელობა

ჩვენი მამულის კარიბჭესთან!
სიცოცხლით სავსემ,
ანალმა წელმა ძეძოანათა
მზით სავსე თასით
და გვლოცავს ასე:
—დიდო ქვეყანავ, მშვიდობა შენდა,
ინარის ძენმა თუძეძ და ქეერძა,
გეძაგოს სიტკბო, ნეკვი, ბარაქა,
ვეღარათერი დაგალოს მტერძა,
დაგბედ ებოდ ეს უხისლი ნეკა,
სულ სინარული, მრავალძეობა,
მრავალუამიერ, მრავალუამიერ
ბედნიერება და დიეკრძელობა!

როცა გული გულობს

ეუნიერის სტუმარია თბილისის 191-ე სკოლა

წარმოგიდგენთ დირექტორს. ბატონი გიორგი კაშია განათლებით მათემატიკოსი გახლავთ. 191-ე სკოლის დირექტორია დღიდან მისი გახსნისა. მუშაობდა 29-ე სკოლაში დირექტორად, ქალაქის განათლების სამმართველოში, 71-ე სკოლაში დირექტორად.



ქალაქის განაპირა უბანში, გლდანის მეხუთე მიკრორაიონში სკოლა 1990 წელს გაიხსნა. მისი შენობა იმ პერიოდში იგებოდა, როდესაც ქვეყანაში ძველი ინგრეოდა, ახალს კი ჯერ ვერ მოეკიდებინა ფეხი. არეული ვითარების შესაბამისად იქცეოდნენ მშენებლებიც, რომელთა უგულო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ საქმისადმი, შესრულებულ სამუშაოთა უხარისხობამ სულ მალე იჩინა თავი. შენობის კედლებს ბზარი გაუჩნდა, დაიბრიცა და გაფუჭდა მუყაოს კარები, ფანჯრის ჩარჩოები, არასაიმედო და უვარგისი გამოდგა ახალი ყაიდის მერხები, დრო და დრო სკდება წყალსადენის მილები და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. ახლახან მიწისძვრაც დაემატა და რომ არა სკოლის დირექტორის ბატონ გია კაშიას, სკოლაში მომუშავე სხვა მასაცების ხელმარჯვეობა და მოსწავლეთა მშობლები, ალბათ, ჭერიც ჩამოინგრეოდა, სარდაფიც

IV კლასი, პედაგოგი დიანა სოლოღაშვილი

III კლასი, პედაგოგი ლუიზა ინასარიძე

ელექტრიკოსობა უწევს, ხან დურგლობა, ხან მღებავობა და ხანაც სანტექნიკოსობა. ალბათ ასე კარგა ხანს გასტანს, იმიტომ რომ სკოლა ნამდვილად არ არის განებივრებული განათლების მესვეურთა ყურადღებით. ახლა მხოლოდ იმის იმედი აქვთ, რომ მიწისძვრის შედეგად დაზიანებული 191-ე სკოლა მესამე კატეგორიას მიაკუთვნეს და თებერვლიდან ყველა პრობლემის მოგვარება აღუთქვეს. თებერვალიც შორს დაიტბორებოდა და საკლასო ინვენტარიც საბოლოოდ გამოვიდოდა წყობიდან. დიახ, დირექტორს ხან აღარ არის და დაპირების ფასიც მალე გამოჩნდება.

ხომ თითქოს ძნელია ამგვარ პირობებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმატებით წარმართვა, მაგრამ სკოლის პედაგოგ–მასწავლებლებიც და დირექტორიც საქმით ამტკიცებენ ნათქვამის ჭეშმარიტებას–თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო. სკოლის დირექტორი თავად გახლავთ საქმის ერთგულების, ენერგიულობის, პასუხისმგებლობის, თავდადების და გულისხმიერების მაგალითი და მასწავლებლებიც მხარს უბამენ მას, ყველანი ერთად კი უანგაროდ ემსახურებიან განათლებული, ზნესრული მოქალაქეების აღზრდას, ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად, ქვეყნის სამსახურისთვის ამზადებენ ყმაწვილებს.

12 წლის წინათ, სკოლის დირექტორობა რომ იტვირთა, ბატონმა გიამ შეგნებულად შეარჩია მასწავლებლებად უკვე მომზადებული, ჩამოყალიბებული პროფესიონალები და ისინიც პირველი დღიდანვე ამოუდგნენ მხარში და ერთობლივი ძალისხმევით განსაზღვრეს ახალ სკოლაში დასანერგი სწავლა-აღზრდის ძირითადი პრიორიტეტები და ენერგიულად შეუდგნენ დასახულის განხორციელებას და თუმცა შედეგსაც კარგს აღწევენ, ბოლომდე კმაყოფილები მაინც არ არიან. ახალმა დრომ, სწავლების პროცესის გარდაქმნა მოითხოვა, სასკოლო რე-

ფორმამ ახალი ამოცანები წამოჭრა, მაგრამ მთლიანად განათლების სისტემაში შექმნილი ერთგვარი გაურკვევლობის გამო, როცა ძველი წაიშალა, ახალი კი არ ჩანს, ერთი გამოკვეთილი გზის არჩევა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. რაკი სკოლა სახელმწიფოა და არა კერძო, ახლის შემოთავაზებასაც სახელმწიფოსგან ელიან, საშუალებებს კი თავად შეიმუშავებენ. ალბათ ყველა ეს მომენტიც გაირკვევა და მოსწესრიგდება, ჯერჯერობით კი 191-ე სკოლა თავისი ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობს. მასწავლებლები რუდუნებით, ერთგულად ემსახურებიან თავიანთ საქმეს. უბნის ბავშვები .სხვებთან შედარებით უფრო დამჯერები, დამყოლები არიან, ამას მასწავლებლების გამოცდილებაც ემატება და აღზრდის პროცესი აქ გამართულად მიმდინარეობს, შესაბამისად გაადვილებულია სწავლებაც და მოსწავლე-მასწავლებელთა ურთიერთგაგებაც.

III კლასი, პედაგოგი ლუიზა ბალავაძე

შარშან სკოლამ პირველი კურსდამთავრებულები გამოუშვა და გზა დაულოცა იმ მოზარდებს, თერთმეტი წლის წინ გულისფანცქალით რომ შემოაღეს სკოლის კარი. პირველხ გამოშვება სკოლის პირველი იუბილეც იყო და ყველამ – მოსწავლეებმაც, მასწავლებლებმაც, მშობლებმაც და სტუმრებმაც საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს ეს მოვლენა.

ბატონი გია კაშიაც და მასწავლებლებიც დარწმუნებულები არიან, რომ სწავლა-აღზრდასთან ერთად სკოლა ბავშვების სულიერებაზეც უნდა ზრუნავდეს და ამიტომაც გადაწყვიტეს სკოლის ეზოში ეკლესია აეგოთ. სულ მალე საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 191-ე სკოლის ეზოში საზეიმო ვითარებაში ჩაეყარა საძირკველი წმინდა ილია მართლის ეკლესიას. პირველი დღიდან მოყოლებული, ეკლესიის მშენებლობაზე მუხლჩაუხრელად მუშაობენ სკოლის დირექტორიც, მასწავლებლებიც, მშობლებიც, დროდადრო მათ უფროსკლასელებიც ეხმარებიან. ეკლესია მთლიანად შემოწირულობების ხარჯზე იგება. თუმცა მშენებლობა ჯერ არ დამთავრებულა, აქ ყოველ ორშაბათს იმართება პარაკლისი.

სასკოლო პროგრამა, გაკვეთილები ერთია და ზოგადი განათლება, ცოდნის თვალსაწიერის გაფართოება–მეორე. მარტო სახელმძღვანელოებით მიღებული ცოდნა ახლავე არ კმარა, მომავალში ხომ საერთოდ უმნიშვნელო იქნება. შეიძლება ბავშვებს ჯერ არ ჰქონდეთ გაცნობიერებული, მასწავლებლებმა კი კარგად უწყიან ეს. ამიტომაც ნერგავენ სკოლაში სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებას. ტრადიციულად იქცა შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, თემატური საღამოები. ამას წინათ სკოლაში მსოფლიო მოგზაურობიდან დაბრუნებულ ჯუმბერ ლეჟავას მოუწყვეს შეხვედრა. (ბატონ ჯუმბერის შვილიშვილები ამ სკოლის მოსწავლეები არიან). უფრო ადრე ჩატარდა ხალხური პოეზიის საღამო „ლექსო, ნუ დაიკარგები“, რომელზეცღ პროფესორი ალექსი ჭინჭარაული და პოეტი ეთერ თათარაიძე იყვნენ მოწვეულები. ძალიან საინტერესოდ ჩაიარა შეხვედრამ ... ეროვნულ უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგესთან ბატონ შალვა საბაშვილთან. ამ კარი შეხვედრა–საღამოების ჩატარებას სკოლაში მომავალშიც აპირებენ. სტუმრებს ახლა უკვე ბავშვები შეარჩევენ თავიანთი სურვილისა და ინტერესების შესაბამისად.

მოგეხსენებათ, გლდანი, მეტადრე მისი მეხუთე მიკრორაიონი თბილისის ცენტრალურ ნაწილს კარგა მანძილით არის მოცილებული და აქაური ბავშვების უმრავლესობა ქალაქს ნაკლებად იცნობს. ამიტომაც დაინერგა დირექტორის ინიციატივით გასვლითი გაკვეთილების ჩატარება. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ დაათვალიერონ დედაქალაქის რაიონები, მოინახულონ მუზეუმები, გაეცნონ, არქიტექტურულ თუ ისტორიულ ძეგლებს, იხილონ ის, რასაც ბევრი მათგანი მხოლოდ ტელევიზორის ეკრანზე ხედავს.

ასეთია თბილისის ერთ-ერთი ჩვეულებრივი სკოლის სადაგი დღეები, რომლის ერთ მეგობრულ ოჯახად შეკრული კოლექტივი ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის საჭირო მოქალაქეებს ზრდის, მამულიშვილურ რწმენას უნერგავს, ცოდნით აიარაღებს, სიკეთესა და სიყვარულს უნერგავს იმ გოგობიჭებს, რომლებმაც ხვალ-ზეგ სამშობლოს ბედი უნდა ჩაიბარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ 191-ე სკოლის მოსწავლეთა შემოქმედებას

თოვლის ფიფქები

ახლა თოვლია, არ არის წვიმა,
ციდან ფანტელი ცვივა და ცვივა.
ისე ეშვება ფანტელი ციდან,
როგორც ირემი ეშვება მთიდან.
გულში ისრად აქვს გაყრილი ყინვა,
მაგრამ ზეციდან ყოველწამს ცვივა,
ფანტელი ცვივა,
ზეციდან ცვივა,
როგორც ზაფხულის
შხაპუნა წვიმა.

ეკა კოპრავა, VI^ბ კლასი

მთვარიანი ღამე

ვზივარ მთვარიან ღამეში
და გულს მაწვება სევდა,
სულმუდამ იმას ვფიქრობდი,
რომ ვიქნებოდით ერთად.
მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა,
მე შენ ვერ გიტან დღესაც,
შენ მიმატოვე, წახვედი
და თან დამცინა ბედმა.
მე დავივიწყებ, წავალ,
აღარ დაგიწყებ დევნას,
სულ დავივიწყებ ამ ამბავს,
დავემალები სევდას.
ვზივარ მთვარიან ღამეში,
მაგრამ აღარ ვარ მარტო
და ახლა შენ ვისთანა ხარ,
მე ამას აღარ ვდარდობ.

თამუნა შაიშმელაშვილი, VI^ბ კლასი

ნათია ლელაშვილი, V კლასი. „ზამთარი“

ლუკა კინწურაშვილი, III კლასი. „თამარ მეფე“

სოფიკო მორბელაძე, VII კლასი. „ჩოხოსნები“

წარმოგიდგენთ 191-ე სკოლის მოსწავლეთა შემოქმედებას

ოდოშსერი

მაცხოვარო, მომეც ძალა

ბოროტების წინააღმდეგ
სიყვარული მომეძალა,
ბოროტების დასათრგუნად
მაცხოვარო, მომეც ძალა.
მეწამული ფერის ღრუბლებს
სანთლით ებრძვის თეთრი გედი.
რა იქნება საქართველომ
თვითონ შექმნას თავის ბედი?
საქართველოს ზეცა ჰფარა
ანგელოზთა არმიამ,
დაიფარე ივერია,
ღვთისმშობელო მარიამ!

ერეკლე მეფარიშვილი, IV[ა] კლასი

წვიმს

სარკმელთან ვზივარ,
ვზივარ და წვიმს,
წვიმაა და აწვიმს
ხეებსა და ჩიტებს.
იცით, ეს რა არის?
ლამაზი ქალაქი,
არა პრობლემა,
არა შიში,
და არა ღალატი.
მხოლოდ სიყვარული,
მხოლოდ მეგობრობა,
ამ ლამაზ ქალაქში.

სალომე შიუკაშვილი
VIII[ᵢ] კლასი.

პირველი ვარდი პირველ მასწავლებელს

წელს, 15 მაისს, ჩვენი ბინის წინ ბაღნარში ჩემ მიერ დარგულ ვარდზე პირველი ყვავილი შევამჩნიე და გავიფიქრე: პირველი ვარდი პირველ მასწავლებელს. ყვავილი მოვწყვიტე და ჩემს პირველ მასწავლებელს ლუიზა ქურდიანს მივუძღვენი ასეთი ბარათით:

პატივცემულო ლუიზა მასწავლებელო! ვარდი ერთია, მაგრამ ისეთივე დიდი სურნელება ახლავს, როგორიც თქვენს ამაგს ჩემთვის. ვარდი დაჭკნება, სურნელება გაუქრება, მაგრამ ამბავი ერთი ვარდისა მეხსიერებაში ჩამრჩება, როგორც სიმბოლო თქვენი ნაყოფიერი შრომისა. დაე, ამ ვარდმა ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ულევი სიხარული მოგიტანოთ.

თამთა კინწურაშვილი, IX კლასი.

მაიკო აბაიაძე, V კლასი. „პორტრეტი“

ანი მერაბიშვილი, V კლასი.
„ქალიშვილი მარაოთი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი პომპავალი მკითხველი

გოგონა, რომელმაც სიმღერით აიდგა ენა

შეიძლება ითქვას, რომ თეონა ზარიძემ სიმღერით აიდგა ენა. არ იფიქროთ, ამას ფერების გასამუქებლად

და შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ვამბობდეთ. თეონამ მართლა ერთდროულად დაიწყო ლაპარაკიც და სიმღერაც და მას მერე სულ მღერის, სულ ღიღინებს. მღერის სახლშიც, საბავშვო ბაღშიც და, რაღა თქმა უნდა, სტუდია „ოქროს ცერშიც", რომლის წევრიც გახლავთ.

თეონა თბილისის 32-ე სოროსის ფონდის ბაღში დადის (გამგე ქალბატონი მერი ტატიშვილი, პედაგოგი ლამარა კაციაშვილი). პირველად სწორედ აქ მიიქცია ყურადღება გამორჩეული ვოკალური მონაცემებით და ამის შემდეგ მიეცა მათ განვითარების სწორი გზა.

საერთოდ, თეონა ძალზე ხალისიანი, სხარტი გონების ბავშვია, თანატოლებისგან სრულიად განსხვავებული, თავისებური ხედვით გამოირჩევა. ძალიან ბევრი რამ აინტერესებს და ყველაფერზე თავისი აზრი აქვს. კითხვა ადრე ისწავლა და მას შემდეგ სიამოვნებით კითხულობს პატარ-პატარა წიგნებს. ძალიან უყვარს ზღაპრები, თოჯინები, მულტიპლიკაციური ფილმები. თეონა საოცრად ენაწყლიანია, შესაშურად მდიდარი ლექსიკა აქვს და როცა რაიმეს ყვება, სიტყვების უშრეტი მარაგით ყველას აკვირვებს. ზოგჯერ უფროსებთან ურთიერთობისას ისე შეავსებს ხოლმე წინადადებას, ისე ზუსტად შეარჩევს და მოარგებს ხოლმე სათქმელის აზრს სიტყვას თუ გამოთქმას, ნებისმიერ მჭევრმეტყველ ადამიანსაც კი შეშურდებოდა. თეონას ძალიან უყვარს თავისი უფროსი და სოფიკო და უმცროსი ძმა გურამიკო. ძამიკოს კარგი დედასავით ევლება თავს, მფარველობს და მეურვეობს, არავის აჩაგვრინებს, თუმცა თვითონ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან საიმისოდ, რომ თავისი უფროსობა შეახსენოს და აგრძნობინოს.

როგორც უკვე ვთქვით, თეონა სტუდია „ოქროს ცერის" წევრია, სადაც მისი პედაგოგი გია ფავლენიშვილია. პარალელურად იგი ბაჩი ქიტიაშვილთანაც მოღვაწეობს. მოღვაწეობაა, აბა რა არის, როდესაც ეს ციცქნა მომღერალი გამოცდილი პროფესიონალის სერიოზულობით და პასუხისმგებლობით ეკიდება ამა თუ იმ სიმღერის შესწავლას და მერე მათ საკონცერტო შესრულებას; როცა იგი მზად არის ყოველი სიმღერის სრულ დახვეწამდე იმეოროს და იმეოროს იგი. თეონა ზარიძის სადღეისო რეპერტუარშია, „ტირიფები", „ქეროლი", „პოპური აჭარულის" მოტივებზე და სხვ.

სულ მალე, 30 იანვარს, თეონას ექვსი წელი უსრულდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაისად იგი სკოლის კარს შეაღებს და, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ფრიადებზე ისწავლის. ვულოცავთ თეონას დაბადების დღეს, დამდეგ შობა-ახალ წელს და იმედი გვაქვს, რომ მისი მომავალი წარმატებები საფუძველს მოგვცემს კიდევ არა ერთხელ გიამბოთ მის შესახებ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ნაბიჯები შერიგებისკენ

ახალგაზრდა ლიდერები კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზებს სახავენ

1998 წლის ზაფხულზე AED-მ (განათლების განვითარების აკადემია), USAID -ის (აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტო) თხოვნით, ორგანიზება გაუკეთა ქართველი და აფხაზი ბავშვების ბანაკს ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავად ამ იდეის ავტორი კი ქართულ-აფხაზური ორმხრივი საკოორდინაციო საბჭო იყო. პროექტს მხარი დაუჭირა კონფლიქტის როგორც ქართულმა, ისე აფხაზურმა მხარემ. საზაფხულო ბანაკში მონაწილეობისთვის შეირჩა 12-17 წლის 60 ახალგაზრდა (30 ქართველი–30 აფხაზი).

ბანაკის ყველა მონაწილის აზრით, პროგრამამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათ შორის მშვიდობიანი პროცესის განვითარებას. მათ სურვილი გამოთქვეს მომავალშიც ითანამშრომლონ ერთმანეთთან. ყოველივე ამან კი საფუძველი მისცა USAID-ს მომდევნო წლებშიც დაეფინანსებინა მსგავსი პროგრამები.

1998, 1999, 2000 წლებში პროგრამის სახელწოდება იყო „მოზარდთა განვითარება“. 2001 წელს მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და აქედან გამომდინარე, სახელწოდებაც შეიცვალა–„ახალგაზრდა ლიდერები მშვიდობისა და განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში“. 1998 წლის დასაწყისში „მოზარდთა განვითარება I“-ში 50-მდე მოზარდი მონაწილეობდა, ხათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა და დღეს მასში 500 მოზარდია გაწევრიანებული. (250 ქართველი-250 აფხაზი), პროგრამა ხორციელდება თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, გალში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ტყვარჩელში, გუდაუთასა და გაგრაში.

პროგრამის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს მოზარდების განვითარებას, ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული მტრობის, სიძულვილისა და გამთიშველი ეთნიკური სტერეოტიპების მსხვრევას, რომლებიც წინ ეღობება კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. გარდა ამისა, პროგრამამ შესაძლებლობა მისცა ქართველ და აფხაზ მოზარდებს თვითონ შეესწავლათ და დაესახათ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზები.

რაც შეეხება პროგრამის მონაწილე თითოეულ კლუბს, ზოგადად მათი სტრუქტურა ასეთია: კლუბს აქვს სახელწოდება, ჰყავს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, ასისტენტები. კლუბში ფუნქციონირებს სხვადასხვა სექცია, სადაც მოზარდებს თავიანთი შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალება ეძლევათ. ტარდება კონფლიქტოლოგიის, ფსიქოლოგიის, ინგლისურის, კომპიუტერის, ბიზნესის და არასამთავრობო ორგანიზაციის უფასო გაკვეთილები.

რაც მთავარია, პროგრამას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოზარდების ცხოვრებაში, ამაზე თავად საუბრობენ შტატებიდან დაბრუნებული ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც ყოველი წლის ზაფხულის ერთ თვეს, აფხაზ თანატოლებთან ერთად ატარებენ: „გაუცხოება პირველ ორ დღეს იგრძნობოდა, მერე კი ერთმანეთს არ ვშორდებოდით, ყველგან ერთად დავდიოდით... მათ ქართული სიმღერები გადაწერეს და თან წაიღეს. ერთად ვმღეროდით ჰიმნს „ჩვენ ვართ მსოფლიოს ბავშვები“, ერთად ყოფნით ყველანი ბედნიერები ვიყავით“,–ამბობს ლიკა თურქია, რომელიც პირველივე დღიდან მონაწილეობს პროგრამაში.

ია ახალაია: „აფხაზ თანატოლებთან დაშორების სცენა მართლა საშინელება იყო... მე ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე და დარწმუნებული ვარ, რომ თუ რამე მოხდება, არცერთი მათგანი ჩემ წინააღმდეგ იარაღს არ აიღებს... ვფიქრობ, პროგრამამ საერთო ჯამში, სასურველი შედეგი გამოიღო“.

რუსიკო ქარდავა: „ძალიან მაინტერესებდა, როგორი იქნებოდნენ აფხაზი თანატოლები, მოუნდებოდათ თუ არა ჩვენთან მეგობრობა, ჩვენდა სასიხარულოდ, ისინი მეგობრულები აღმოჩნდნენ, გამომდინარე აქედან, მათთან ურთიერთობის კეთილი გზით წაყვანა არ გამჭირვებია“.

თემურ გაგუა: „დღეს ჩვენთვის, მოზარდებისთვის, ცოდნის დაუფლება და ცხოვრებისეული გამოცდილების მაქსიმალურად დაგროვება, ცოტა არ იყოს ძნელია, თუმცა არა შეუძლებელი, ჩვენმა პროგრამამ ნათლად დაამტკიცა ეს“.

დათო ჩოფლიანი: „ომის შემდეგ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე ვერც ვფიქრობდი და არც ვფიქრობდი, დღეს კი, პროგრამის წყალობით პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების გზებს ვხედავ და ვფიქრობ, რომ ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა“.

პროგრამის ასისტენტები, აფხაზეთიდან დევნილი უმცროსი თაობის წარმომადგენლებს, ე.წ. საკვირაო სკოლებში უტარებენ კონფლიქტოლოგიის გაკვეთილებს, ამით ისინი საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებენ მათ და ამრიგად აფხაზ თანატოლებთან შეხვედრისთვის ამზადებენ. უფროსებისგან განსხვავებით, პატარებს უჭირთ იმის გათავისება, თუ როგორ შეიძლება მშვიდობიანად მოაგვარო ურთიერთობა შენს მოწინააღმდეგესთან. თუმცა, ცხოვრებისეული მაგალითების, სავარჯიშოების განხილვისა და დისკუსიის შემდეგ თვითონ მიდიან იმ დასკვნამდე, რომ თურმე სასურველი შედეგის მიღწევა შესაძლებელია.

ახალგაზრდა ლიდერები დღესაც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის მუშაობაში, წერენ სხვადასხვა სახის პროექტებს, სახავენ სამომავლო გეგმებს და იმედოვნებენ, რომ ჩატეხილი ხიდის აღდგენას შეძლებენ.

ეკა ჯალაღონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ვინატრებდი და...

ალბათ მექნება ლამაზი სათამაშოებით მორთული დიდი ნაძვის ხე. მე ვიცი, რომ ახალწლის ღამეს თოვლის ბაბუა მოდის და ნაძვის ხის ძირში ბავშვებს ურიგებს სათამაშოებს, რომელსაც ისინი ოცნებობენ. ჩემი საახალწლო სურვილია თოვლის ბაბუამ მომიტანოს თოჯინა ბარბის ორსართულიანი სახლი, რომელსაც თან ახლავს ცხენი. მე უკვე მყავს ბარბი, ოჯახის მეგობარი ბიჭი და მინდა ჩემს ოთახში დავასახლო ისინი.

ანანო ოძელაშვილი,
თბილისის 151-ე სკოლა, II კლასი.

მინდა, რომ ყველა მხიარული განწყობილებით, ღიმილით შეხვდეს ახალ წელს. მინდა მოვხვდე საახალწლო მეჯლისზე, სადაც ყველა სხვადასხვა გმირის ტანსაცმელში იქნება ჩაცმული და ყველა იმხიარულებს.

თამთა ამბარდნიშვილი,
თბილისის 128-ე სკოლა, VI კლასი.

მინდა, რომ ახალ წელს მოვიდეს დიდი თოვლი და ყველაფერი გადაათეთროს. საახალწლო საჩუქრად კი ვინატრებდი ველოსიპედს და მოტოციკლს.

ანა ჯიქია,
თბილისის მე-12 სკოლა, V კლასი.

ვინატრებდი, რომ ახალი წელი უხვთოვლიანი გათენდეს, ყველა იყოს ბედნიერი და მხიარული და ყველას ყველა ნატვრა აესრულოს.

ვერა შოშიაშვილი,
თბილისის მე-11 სკოლა, VIII კლასი.

მინდა, რომ ზუსტად 12 საათზე ჩემს სახლში აინთოს დიდი, ლამაზი ნაძვის ხე, კიდევ ძალიან მინდა, რომ ახალწლის ღამეს მოვიდეს თოვლი და ბევრი საახალწლო საჩუქარი მივიღო.

ნანა ყიფიანი,
თბილისის მე-12 სკოლა, V კლასი.

ნეტავ ახალი წლის დილა თოვლიანი გათენდებოდეს. მინდა საახალწლოდ ბევრი მაშხალა და სატკაცუნო მქონდეს.

ბათო შოშიაშვილი,
თბილისის მე-11 სკოლა, V კლასი.

საახალწლოდ ვნატრობ, რომ ვიხმენ დიდი სათამაშო მანქანა მაჩუქოს, ფაიფი აკუმულატორით და ყველაფერი, რეთი, ნამდვილი დიდი მანქანასავით, რომ დადის.

გიორგი ამბარდნიშვილი,
თბილისის 128-ე სკოლა, II კლასი.

ძალიან მინდა, რომ საახალწლოდ „ოლოიები" მაჩუქონ და ეს ოცნება უნდა, ძალიან, ძალიან მინდა მქონდეს ლამაზად მორთული, ათასფერად მოელვარე ნაძვის ხე.

თიკო მაჭარაშვილი,
თბილისის მე-11 სკოლა, VII კლასი.

რას ვინატრებდი და იმას, რომ 31 დეკემბერს მოვიდეს დიდი თოვლი, მქონდეს ლამაზი ნაძვის ხე და ყველა-დიდიც და პატარაც იყოს ბედნიერი.

ქეთი ოთველაშვილი,
ზაპესის საშუალო სკოლა IV კლასი.

22572

ერთი თქვენგანი

ვჩოქეთ მარიამს კვიკვილები

პატარა მარიამი ხატვითაც მშვენივრად ხატავდა, ცეკვითაც ძალიან კარგად ცეკვავდა, ლექსებს ხომ ისეთი შეუმცდარი ინტონაციით, ისე გამოთქმით, გრძნობით კითხულობდა, გამოცდილ დეკლამატორსაც შეშურდებოდა (5 წლისამ 300 ლექსი იცოდა ზეპირად), მაგრამ ყველას უწინარესად მაინც გამორჩეული სმენითა და მუსიკალობით აოცებდა. უთუოდ ამიტომაც ურჩევდნენ ქალბატონ თინას, მარიამის დედას, უყოყმანოდ მიეყვანა გოგონა მუსიკალურ სკოლაში. ის კი მაინც ორჭოფობდა, თავად პროფესიონალ მუსიკოსს (ქ-ნი თინა კიკვიძე დირიჟორი გახლავთ) შვილი იმ უდიდესი შრომისთვის არ ემეტებოდა, რომელიც მთელი სიცოცხლე მოუწევდა, თუ მუსიკოსობას აირჩევდა. ბოლოს კი მაინც მეგობარი კოლეგების რჩევას მიჰყვა და მარიამი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიაში შეიყვანა. სულ მალე კი ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ეს იყო ერთადერთი სწორი არჩევანი. მარიამმა იმთავითვე გამორჩეული მუსიკალურ ნიჭთან ერთად ნებისმიერი შემოქმედისთვის აუცილებელი გულმოდგინება და შრომისმოყვარეობაც გამოიჩინა. მაგრამ ყველაზე მეტად იმით გააკვირვა და გაახარა დედაც და მასწავლებლებიც, რომ ყოველთვის ძალდაუტანებლად, სიამოვნებით ჯდებოდა ფორტეპიანოსთან, ერთს შეახებდა ხელს კლავიშებს, თითქოს ეფერებაო და მერე გოგონას და საკრავს შორის სრული ურთიერთგაგება მყარდებოდა. ასეა დღესაც. ერთად შერწყმულმა თანდაყოლილმა ნიჭმა, შრომამ და მუსიკის დიდმა სიყვარულმა სულ მალე მოუტანეს პატარა მუსიკოსს პირველი წარმატება.

ხელი ჯერ წესიერად არც კი ჰქონდა დაყენებული, რომ უკვე ორკესტრთან ერთად დაუკრა და მას მერე, პირველი კლასიდან მოყოლებული, ყოველ წელს უკრავს ორკესტრთან ერთად. მეორე კლასში იყო, როდესაც პირველი სოლო კონცერტი გამართა, იმ წელსვე ჰქონდა პირველი გასვლითი კონცერტიც, ქ. გორის სამუსიკო სასწავლებელში დაუკრა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. წარმატებით მოგვრილ სიხარულსა და სიამოვნებას სულ პატარამ გაუგო გემო და იმასაც სულ პატარა მიხვდა, რომ წარმატება ადვილად არ მოდის.

მარიამს პირველივე კონცერტზე ძალიან თავისუფლად ეჭირა თავი, არც დაბნეულა, არც შიში უგრძვნია. დედა და მასწავლებელი უფრო ღელავდნენ, ის კი მშვიდად, თავდაჯერებით მიუჯდა ფორტეპიანოს და ბოლომდე ასე ეჭირა თავი.

მარიამს ძალიან გაუმართლა, რომ იმთავითვე საუცხოო პედაგოგთან, ქალბატონ ცირა ცირეკიძესთან მოხვდა, რომელიც დიდ იმედებს ამყარებს თავის მოწაფეზე და საინტერესო შემოქმედებით მომავალს უწინასწარმეტყველებს მას.

აი როგორ ახასიათებს მასწავლებელი თავის მოსწავლეს: „მარიამ მეძმარიაშვილი ჩემი მოსწავლეა პირველი კლასიდან. ჩემთან ისწავლა ნოტების გარჩევა. მარიამი ნიჭიერი, მუსიკალური და ძალიან გონიერი ბავშვია, მან სწავლის პირველი წლიდანვე გამოიჩინა მუსიკისადმი სერიოზული დამოკიდებულება. პირველი კლასიდან მოყოლებული ყოველ წელს უკრავს კამერულ ორკესტრთან ერთად, დაკრული აქვს ისეთი სერიოზული კონცერტები, როგორიცაა მოცარტის №23 კონცერტი (ლა მაჟორი) მთლიანად და ბეთჰოვენის №1 კონცერტი (დო მაჟორი) მთლიანად. მას პროფესიულ დონეზე აქვს დაკრული მისი ასაკისთვის საკმაოდ რთული კიდევ მრავალი ნაწარმოები.“

მარიამი კონცერტებზეც და კონკურსებზეც საკმაოდ რთულ ნაწარმოებებს უკრავს. როგორც წესი, მათ ქ-ნი ცირა არჩევს ხოლმე მოსწავლის შესაძლებლობებისა და წარმატებების გათვალისწინებით. მესამეკლასელმა მარიამ მეძმარიაშვილმა ფალიაშვილის სამუსიკო გიმნაზიის საკონცერტო დარბაზში გამართულ სოლო კონცერტზე ბახის, მოცარტის და პროკოფიევის ნაწარმოებები დაუკრა. ერთი წლის შემდეგ გამართულ ასეთივე კონცერტის პროგრამაში კი მოცარტის, ჰაიდნის, შუბერტის, შოპენის და დებიუსის ნაწარმოებები იყო. სერიოზულ გამოცდად იქცა ნორჩი მუსიკოსისთვის ოთარ თაქთაქიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსი. საკონკურსო დებიუტი წარმატებული გამოდგა, მარიამი მეოთხე პრემიითა და ლაურეატის წოდებით დაჯილდოვდა. ამ კონკურსზე თვალნათლივ გამოჩნდა, თუ როგორ სწრაფად იზრდება და ვითარდება მარიამ მეძმარიაშვილი როგორც მუსიკოსი, როგორ თანდათან იკვეთება და იხვეწება მისი შესრულების სტილი. პირველ სერიოზულ კონკურსზე შეძენილი გამოცდილება თბილისში ახლახან ჩატარებულ ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა მეორე ეროვნულ კონკურსზეც ძალიან გამო-

გაგრძელება მე-6 გვ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
22572

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგა, სადაც მან ღირსეული მეტოქეობა გაუწია 15 წლამდე კატეგორიის მონაწილეებს და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი სახით ქართულ საფორტეპიანო სკოლას საინტერესო, მოაზროვნე შემოქმედი ეზრდება. ამას სიამოვნებით აღნიშნავს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, პროფესორი მედეა ალთუნაშვილიც: „პირველი კლასიდან ვადევნებ თვალს მარიამ მეძმარიაშვილის ზრდას და მუსიკალურ განვითარებას. იგი სტაბილურად მიიწევს წინ და ყოველწლიურად ახალ წარმატებებს აღწევს. ამას დიდად უწყობს ხელს მარიამის როგორც ნიჭი, ასევე დიდი სიყვარული მუსიკისადმი და შესაშური სერიოზულობა, გულმოდგინეობა. გოგონამ უკვე დააგროვა საკმაოდ დიდი რეპერტუარი, რომელშიც შედის როგორც კლასიკური, რომანტიკული, ასევე თანამედროვე ნაწარმოებები...“

11 წლის იყო მარიამი, როცა საკუთარმა წარმატებამ მორალურ სიამოვნებასთან ერთად მატერიალური სარგებლობაც მოუტანა. მაშინ იგი „კავკასიურ სახლში“ საქართველოში მოღვაწე გერმანელებისადმი მიძღვნილ მუსიკალურ საღამოზე მიიწვიეს. მარიამმა იქ შეასრულა შუბერტის „მუსიკალური მომენტი“, შოპენის „ეკოსეზები“ და დებიუსის „არაბესკა“. პატარა ქართველი მუსიკოსის ხელოვნებით მოხიბლულმა „კავკასიური სახლის“ გერმანელმა სპონსორებმა 800 დოლარით დაასაჩუქრეს იგი. ვერაფერს იტყვი–მართლა დიდებული საჩუქარია. ამ ფულით მარიამს ფორტეპიანო, ტელევიზორი და მაგნიტოფონი უყიდეს.

დღეს მარიამი სამუსიკო გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლეა, კვლავაც ჩვეული ხალისით და სერიოზულობით მეცადინეობს და გულმოდგინედ ხვეწს ოსტატობას.

მუსიკის გარდა ისევე, როგორც სულ პატარას, ახლაც ძალიან უყვარს პოეზია, გამორჩეულად კი – ვაჟა-ფშაველას, აკაკის, ანა კალანდაძის, ეთერ თათარაიძის ლექსები. ძველებურადვე უყვარს ხატვა, უყვარს ცხოველები, განსაკუთრებით თავისი ნახევრადსიამური კატა ფაცი, რომელიც გარდა იმისა, რომ ძალიან ლამაზია, საოცრად ჭკვიანიცაა.

და კიდევ, – მარიამს ძალიან უყვარს, ყვავილები და მილოცვები. ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ ამას და მის მორიგ კონცერტზე უთუოდ მივართმევთ თუ დიდ თაიგულს არა, იების კოპწია კონას მაინც. ჯერჯერობით კი მომავალ დაბადების დღეს (მარიამი 30 დეკემბერს არის დაბადებული) და დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავთ და ვუსურვებთ ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს!

საახალწლო მოზაიკა

ისტომ მაინცდამაინც ნაძვი?

მარადმწვანე, სურნელოვანი, კოხტა ნაძვი უძველესი დროიდან ითვლება განსაკუთრებულ ხედ: მარადიული სიცოცხლის, სიმამაცის და შეუპოვრობის სიმბოლოდ–ის ხომ სიცხეშიც მწვანეა და სიცივეშიც. ნაძვის თაყვანისცემის ადათს განსაკუთრებით ძველი გერმანელები მისდევდნენ. მათ სწამდათ, რომ ამ ხეში ცხოვრობს ტყის სული, რომელიც ცხოველებსა და ფრინველებს იცავს და მფარველობს. ბრძოლის დაწყების წინ მეომრები სწორედ ნაძვის ქვეშ თათბირობდნენ. ნაძვის თაყვანისცემის ჩვეულება ჰოლანდიელებმა და ინგლისელებმაც გადაიღეს. რუსეთში ნაძვი საახალწლო ხედ პეტრე პირველის ბრძანებით გამოცხადდა, რომელმაც ბრძანა, 1700 წლის პირველი იანვრიდან სახლები ნაძვის, ფიჭვის და ღვიის ტოტებით მოერთოთ.

ცხელ ქვეყნებში საახალწლო ნაძვის მაგივრობას სამხრეთული მცენარეები სწევს. ვიეტნამში, მაგალითად, ატმის ტოტები, იაპონიაში ბამბუკის, ფიჭვისა და ქლიავის ტოტების თაიგული–დღეგრძელობის, შეუპოვრობისა და სწრაფი განვითარების სიმბოლო.

ჯონფეტი იგივე ჯანფეტია თუ?...

ქაღალდის პატარ-პატარა ფერად წრეებს, საახალწლო ზეიმებზე, სხვადასხვა სახის კარნავალებსა თუ მეჯლისებზე რომ აყრიან ერთმანეთს ადამიანები, კონფეტი ჰქვია. ამ სიტყვაზე, ცხადია, უმალ კანფეტი გვახსენდება და ეს საკვებით ბუნებრივია. გასული საუკუნის დასაწყისში ცნობილ რომაულ კარნავალზე მიღებული იყო ერთმანეთისთვის წვრილ-წვრილი კანფეტების, უფრო სწორედ შაქრიანი თხილის სროლა. მოგვიანებით ტკბილეული თაბაშირის, ცარცის პატარა ბურთულებმა შეცვალა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამგვარი კონფეტებით რამდენიმე ადამიანი დაშავდა, ეს ჩვეულება დავიწყებას მიეცა.

ასი წლის წინათ კი ერთ-ერთ პარიზელ გაკოტრებულ კაზინოს მფლობელს ბედნიერი აზრი მოუვიდა–საკარნავალო ხუმრობა-გართობით მიეზიდა პუბლიკა. ჩანაფიქრი რეალობად იქცა, კაზინოს უამრავი ხალხი მოაწყდა. გართობას მოწყურებულ პარიზელებს სხვა გასართობებს შორის ქაღალდის კონფეტიც შესთავაზეს. გამხიარულებული პუბლიკა ბღუჯა-ბღუჯა აბნევდა ფერად-ფერად ქაღალდის პატარა, ლამაზ და სრულიად უვნებელ წრეებს.

მაინც ვინ იყო ჟიულ ვერნი?

„...ჭურვი არხეინად ტივტივებდა ტალღებზე.

ზღვაზე იმწამს ჩაუშვეს კანჯოები; ერთ-ერთ მათგანში მასტონი და მისი მეგობრები ჩასხდნენ. ღელვამ უმაღლეს ზღვარს მიაღწია. ვიდრე კანჯო ჭურვს მიუახლოვდებოდა, ყველას ძალუმად უცემდა გული. რა დაემართათ ჭურვის მგზავრებს? ცოცხლები გადარჩნენ თუ დაიხოცნენ. ცხადია, ცოცხლები იქნებიან! ცოცხლები, იმ შემთხვევაში, თუ სიკვდილი მას მერე არ ეწვია ბარბიკენსა და მის ამხანაგებს, რაც მათ დროშა გამოჰკიდეს!“

ასე აღწერა დაახლოებით 140

წლის წინათ ჟიულ ვერნმა რომანში „მთვარის გარშემო“ კოსმიურ მოგზაურთა დაბრუნება. რომანის წაკითხვის შემდეგ მწერლის თანამედროვე მეცნიერები დიდხანს ბჭობდნენ: შესაძლებელია თუ არა ასეთი რამ? შეიძლება თუ არა ჭურვის მთვარეზე გატყორცნა? როგორ უნდა აიგოს ამგვარი ზარბაზანი? როგორ იგრძნობს თავს ადამიანი ზარბაზანში გასროლის მომენტში?

საბოლოოდ მეცნიერები ასეთ დასკვნამდე მივიდნენ:

არც ამგვარი ზარბაზნის აგება შეიძლება, ვერც ჭურვი მიაღწევს მთვარემდე, და ვერც ჭურვში მყოფი ადამიანი, ხოლო თუ ასეთი ზარბაზანი აიგება და ადამიანიანი ჭურვის გასროლა მოხერხდება, აჩქარების ძალის ზემოქმედებით ადამიანი ცომივით გაბრტყელდება...

მაგრამ გამოხდა ხანი და ადამიანებმა მთვარეზე ფეხი დაადგეს და უკან, დედამიწაზეც დაბრუნდნენ. ამასთან მთვარისკენ ისინი უზარმაზარი სიჩქარით მიფრინავდნენ, თანაც ისეთი საფრენი აპარატით, როგორც ჟიულ ვერნმა აღწერა. თუმცა, ეს ზარბაზნის ჭურვი კი არ იყო, არამედ რაკეტა. და ბოლოს, რაც ყველაზე საოცარია, ნაწინასწარმეტყველები გაფრენა, როგორც ჟიულ ვერნი წერდა, სწორედ ფლორიდის ნახევარკუნძულიდან განხორციელდა, ეკიპაჟიც ზუსტად სამი წევრისგან შედგებოდა და კოსმონავტებიც იმ ადგილიდან სულ რაღაც ორნახევარი მილის მოშორებით დაეშვნენ წყალზე, რომელიც მითითებულია რომანში.

მაშ ვინ იყო ჟიულ ვერნი? ჩვეულებრივი მწერალი? ადამიანი, რომელსაც შეეძლო წინასწარ, ასი წლით ადრე გამოეცნო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება? ან იქნებ, უბრალოდ იღბლიანი ფანტაზიორი იყო?

სცადეთ, იქნებ თქვენ უპასუხოთ ამ კითხვებს.

ვფიქრობთ, ბევრ თქვენგანს წაკი-





თხული აქვს ჟიულ ვერნის შესანიშნავი ფანტასტიკური რომანები,

ხოლო იმათ, ვისაც ჯერ არ წაუკითხავს „დედამიწიდან მთვარისაკენ“, „კაპიტან გრანტის შვილები“, „საიდუმლო კუნძული“, „15 წლის კაპიტანი“, „80 000 კილომეტრი წყალქვეშ“ და სხვ. დაბეჯითებით ვურჩევთ გადმოიღონ ეს წიგნები თაროდან და გაჰყვნენ მწერალს მის მიერ შექმნილ წარმოსახვით სამყაროში.

ყველას ერთად კი გვინდა შემოგთავაზოთ, სხვა კუთხით მიუდგეთ ჟიულ ვერნის ნაწარმოებებს. გულისყურით წაიკითხოთ და დაფიქრდეთ, მწერლის რომელი ფანტასტიკური იდეა განხორციელდა რეალურად? რა გამოიცნო ჟიულ ვერნმა და რაში შეცდა?

საშობაო პერანგი

(ლეგენდა)

ლეგენდა, რომელსაც გთავაზობთ, „ნაკადულის“ 1913 წლის დეკემბრის ნომერში, ანუ 90 წლის წინ დაიბეჭდა. ამის გათვალისწინებით, ალბათ არც ენის თავისებურება გაგაკვირვებთ, და არც თხრობის სტილი

კარლეტის გამჭვარტლული მოზრდილი ქოხი დედაკაცებით იყო სავსე. ერთი მეორის შემდეგ შედიოდნენ, თოვლიან ტანისამოსს იბერტყავდნენ და ავადმყოფის საწოლისკენ მიდიოდნენ. რა უნდოდათ დედაკაცებს ამ ქოხში?

ამინდი საძაგელია, და არც იმისთანა საღამოა, რომ სტუმრად მოსულიყვნენ;–დღეს-კი შობის ღამეა, და ყველა სცდილობს ეს ბედნიერი დღე შინ გაატაროს.

დეიდა ბრიგიტა, თუმცა ძალიან დაღონებული იყო, მაგრამ ყველას ალერსით ეგებებოდა და ეტყობოდა, რომ სტუმრებს კიდევ ელოდა.

–ეს დედაკაცები რად მოსულან?–ჰკითხა ავადმყოფმა თავის დიდედას.

–შენი გულისთვის მოვიდნენ, ჩემო დორა; ამათ „საშობაო პერანგი“ უნდა შეგიკერონ.

ავადმყოფს იმედის სხივმა გადაჰკრა სახეზე, ბებრებისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ საშობაო პერანგს ბევრი მძიმე ავადმყოფი დაუხსნია სიკვდილისგანო.

პერანგი უნდა უსათუოდ შეეკერათ ცისკრისა და წირვის დროს, არამც თუ მარტო შეეკერათ, არამედ ყველაფერი უნდა მოემზადებინათ; უნდა გაეკეთებინათ სელი, დაერთოთ ძაფი, მოექსოვათ ტილო და ამავე ტილოსგან პერანგი შეეკერათ და ყველაფერი ეს წირვის გამოსვლამდის უნდა შეესრულებინათ.

–მოასწრებთ-კი?–შიშით იკითხა დორამ.

–რასაკვირველია... ხედავ, რამდენი ვართ,–ცოცხლად მიუგო დიდედამ.

მართლაც, ბლომად მოგროვილიყვნენ დედაკაცები. ყველანი ბებრები იყვნენ: მხოლოდ ქოხის ბნელ კუთხეში ახალგაზრდა მემას ფერმკრთალი სახე მოსჩანდა.

სოფელში ყველა იცოდა, რომ დორას და მემას ერთმანეთი უყვარდათ და ისიც გაეგოთ, რომ დიდედა ნებას არ აძლევდა დორას ღარიბი და ობოლი მემა შეერთო.

დიდედამ, როგორც კი გაიგო იმათი სიყვარული, ქალი სახლიდან გააგდო ლანძღვაგინებით. ბებრები მოგუზგუზე ბუხრის წინ კაბებს იშრობდნენ. მემამ, გაიგო თუ არა, დორას „შობის პერანგი“ უნდა შეუკერონო–გადაწყვიტა წასულიყო სხვა ქალებთან ერთად და ეშველა.

დადგა საღამო. ქარი დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა, გმინავდა, თოვლი ჰბარდნიდა და გზას ეფინებოდა. ქალი დიდხანს იჯდა თავის ქოხში, ჩამქრალ კერის წინ, და ყოყმანობდა, წასულიყო იმ სახლში, საიდანაც გამოაგდეს, თუ არა. მერე უცებ წამოხტა, თავშალი მოიხვია და კარლეტას სახლისკენ წავიდა.

დიდედამ მსწრაფლ შეხედა მას და შემდეგ პირი იქით მიიბრუნა.

–აი, უკვე დაღამდა,–სთქვა ერთმა მოხუცმა, როცა სასოფლო სამრეკლოზე ზარმა დაიგუგუნა. დედაკაცებმა მუხლი მოიყარეს და პირზე ხელები მიიფარეს.

ბუხარი კი საამურად გუზგუზებდა და პირისფერს შუქსა ჰფენდა მაგიდებსა და საქსოვ დგიმს. კუთხეში სელითავსე ტომრები ეყარა. ოთახის სიღრმეში ლოგინი იდგა, რომელზედაც ავადმყოფი იწვა; სახეზე ტანჯვა და მწუხარება ეხატებოდა.

ზარი გუგუნებდა და გუგუნებდა–ხალხს იწვევდა.

ლოცვის გათავებისას ბებრები ადგნენ.

–აბა დროა, დავიწყოთ!–ბრძანების კილოთი სთქვა ბრიგიტამ.

დიდედამ სარკმელთან მიიყვანა დედაკაცები, მიუნათა ლამპარი, აჩვენა სელი. ამ სელისგან უნდა მოექსოვათ და შეეკერათ ავადმყოფისთვის პერანგი.

მემამ ყველაზე მოზრდილ ტომარას წამოავლო ხელი და აქეთ გამოათრია.

დედაკაცებმაც მოზიდეს ტომრები, ამოიღეს სელი და ჩეჩა დაუწყეს. ოთახი მტვრით აივსო.

ყველამ სელის ნართები სკამზე დაალაგა.

–აბა, ახლა კი სავარცხლებს მოჰკიდეთ ხელი და მარდად დავარცხნეთ სელი,–დაუმატა კარლოტამ, რომელიც ამ საქმეზე მეთაურობდა.

მუშაობა სდუღდა. სკამების ბოლოზე ორ-ორი განიერი სავარცხელი გაამაგრეს და თვითეული ქალი სცდილობდა საქმის დაწყებას. ოთახში ფუსფუსი ატყდა.

–წყნარად, წყნარად, მეზობლებო!– მეთაურობდა კარლოტა.–შენ, კანდორა, ამ სავარცხელთან დადექ, შენ კი პირდაპირ–მემა. მეორე სკამთან ბეტა დადგება. აი ასე–კეთილი! თქვენ ვარცხნეთ და მოგვაწოდეთ სელის ძარღვი, ჩვენ კი თითის ტარზე დავართავთ. გაჩეჩილ სელს რთვა დაუწყეს. ჯარა დატრიალდა.

–დიდედა, პერანგს მომისწრებთ?–მოისმა დორას მისუსტებული ხმა.

–მოგისწრებთ, შვილო,–ღმერთი მოწყალეა!.. დორას ხმაში საშინელი ტანჯვა გამოკრთოდა; დორას სიცოცხლე სწყუროდა და ეშინოდა–იმედი არ გასცრუებოდა.

ახლა კოჭებზე უნდა გადაეხვიათ, მერე დგიმზე უნდა გაებათ. სამუშაო კიდევ ბლომად იყო. ყველა ხმა-ამოუღებლივ და გულ-მოდგინედ მუშაობდა.

როდესაც ყველაფერი დაამზადეს, კარლოტამ მხიარულად სთქვა.

–მემა, ჩვენ ყოჩაღები ვართ!

კარლოტამ, ცოტა არ იყოს, სიამაყით შეხედა კარგად გაწყობილ დგიმ-სავარცხელს.

მემა ძალიან კმაყოფილი იყო. ახლა ის მალვით კი აღარ უყურებდა დორას, პირიქით–თამამად უღიმოდა. თუ „საშობაო პერანგი“ რასმეს უშველის დორას, იგი მემას მადლობელი უნდა იყოს.

ბებრები მუშაობას თანდათან ჩამორჩნენ. ზოგი ცეცხლის პირას ჩამოსხდნენ და თვლება დაიწყეს.

–ჰაი, თქვენ ძილის გუდებო, თქვენა!–რა დროს თვლემაა: ჰა?!. აბა, საქსოვს ვინ მიუჯდება? მე და მემა აღარ ვართ, ისე დავიქანცენით! ახლა თქვენი ჯერია,–სთქვა კარლოტამ.

სანამ დედაკაცები ყაყანებდნენ და საქმის დაწყებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ, მემამ მკვირცხლად მიირბინა ქარგასთან და მუშაობა დაიწყო. როდესაც რომელიმე ქალი სთხოვდა–ჩემ მაგიერ ახლა შენ დაისვენეო, მემა თავის ქნევით უარს ეუბნებოდა და

უფრო ცოცხლად იწყებდა მუშაობას.

–შესანიშნავი მშრომელი ქალი დადგება მემა; ჩემ დღეში არ მინახავს ამისი მზგავსი,–ეუბნებოდა კარლოტა ბრიგიტას:–აკი გითხარ, უამისოდ ვერას მოვახერხებთ მეთქი.

ახლა კი დიდედამ კეთილინება და თავი ოდნავ დაუქნია.

–რასა იქთ, როგორ მიდის საქმე, პერანგს მომისწრებთ?–აღელვებით იკითხა ავადმყოფმა.

–გაგითავებთ, გაგითავებთ!–თითქმის დარწმუნებით უპასუხა დიდედამ,–გესმის, უკვე ქსოვენ.

დგიმის ჯახა-ჯუხი გარკვევით ისმოდა. იშვიათად შესწყდებოდა ხოლმე ხმა, ისიც მაშინ, როდესაც მემა ძაფს კვანძს აცლიდა.

საყდრის სამრეკლოზე ზარმა დაიგუგუნა.

–უკვე ათი საათია; ორი საათიღა დარჩა შუადღემდე; ამ დროისთვის ხალათი მზად უნდა იყოს!

მოვასწრებთ, დრო კიდევ გვაქვს!–სიხარულით წამოიძახა დიდედამ.–გმადლობთ შენ, უფალო!

მემაც ოდნავ გასაგონი ხმით ლოცულობდა.

სანამ ბებრები ქარგიდან ტილოს იღებდნენ, მემა ფერმიხდილი და მუშაობით მოქანცული მიჰყრდნობოდა კედელს. ნაღველით აღსავსე თვალებიდან იმედის შუქი გამოჰკრთოდა.

მემას წინ დიდედა იდგა.

–ყური დამიგდე!–მიმართა მან ქალს,–უშენოდ ვერას გავხდებოდი, მაგრამ არ მინდა, რომ მუქთად მუშაობდე ჩემთვის: რამდენი მოგცე გასამრჯელოდ?

ამ სიტყვებმა მემას გული დასწყვიტა, თავი ვეღარ შეიკავა და მწარედ ატირდა.

ავადმყოფმა მძიმედ ამოიკვნესა და კედლისკენ გადაბრუნდა.

ამასობაში კარლოტამ პერანგი გამოსჭრა.

–აბა, დიდედავ, ერთი ნემსი მოგვეცი. მე გვერდებს გავკერავ, როზალიამ კი სახელოები შეჰკეროს. ბებიამ სანემსე მიაწოდა. როდესაც ნემსები დაათვალიერეს, დედაკაცებმა სამი ძალიან მსხვილი ნემსი ამოარჩიეს. მაგრამ ერთ ნემსსაც ვერ გაუყარეს ძაფი, მიუხედავად იმისა, რომ ქალები ბევრსა სცდილობდნენ.

–ამაზე წვრილი ძაფი არ გექნება, ბრიგიტა? ეს ძალიან მსხვილია!

–მაქვს, მაგრამ იმ ძაფით უნდა შეიკეროს, რომელიც დღეს დავართეთ; ჩვენ კი ამაზე წმინდა ძაფი არც ერთი აგება არა გვაქვს.

–მაშ რა ვქნათ?

დიდედა საშინლად გაფითრდა.

–რა გვეშველება?–უიმედოდ ამბობდნენ დედაკაცები. დიდედა ბრიგიტა სასოწარკვეთილებით ემუდარებოდა ქალებს, რომ რაიმე ხერხი ეხმარათ.

–საბრალო, ჩემო საბრალო დორა,–წუწუნებდა დიდედა.

ყველას შიში ეხატებოდა სახეზე; ამასთანავე ცუდი ნიშანი აწუხებდა. თუ ასე კარგად დაწყობილი საქმე ჩაიფუშება, სჩანს ღმერთს ასე სწადია, და ყოველივე ცდა დიდი ცოდვაა.

მეზობლები თანდათან წავიდ-წამოვიდნენ.

ბრიგიტა მარტოდ დარჩა თავის მომაკვდავ შვილისშვილთან.

–ო, ქალწულო მარიამ, ჩვენო მფარველო!–წამოიკვნესა დიდედამ, ღვთის მშობლის ხატის წინ დაეცა და მხურვალედ დაიწყო ლოცვა.

დიდედა ლოცულობდა და მდუღარება ნაკადულად გადმოსდიოდა თვალთაგან.

ოთახში უცებ რაღაც ფაჩუნი მოესმა. დიდედამ თავი აიღო და დაინახა, რომ ვიღაცა ზის სკამზე და გამალებული მუშაობს.

–ვინ ხარ?–ჰკითხა დედაბერმა.

–მე ვარ,–წყნარად უპასუხა მემამ თავაუღებლივ.

დიდედამ მასთან მისვლა დააპირა, მაგრამ შერცხვა, რადგან მოაგონდა ის შეურაცხყოფა, რომელიც ამ თავგანწირულ ქალს მიაყენა. მერმე გული მოულბა და ალერსით შეხედა მემას.

–დიდედავ, ერთი სახელოს მიკერებაღა მიკლია და პერანგი მზად არის,–აღელვებით წარმოსთქვა ქალმა.

–ნემსი სად იშოვე?–ჰკითხა დიდედამ.,

–შინა...

ეს ისეთი კილოთი სთქვა, რომ თითქოს მისი „შინა“ აქვე ახლოს ყოფილიყოს. ბებიმ კი კარგად იცოდა, სადაც სცხოვრობდა ქალი.

ერთი საათის წინ, როცა მემამ ნახა, რომ არც ერთ ნემსს ძაფი არ ერგება, მსწრაფლ თავშალი მოიხურა და სახლისაკენ მოჰკურცხლა. ფეხები თოვლში ეფლობოდა, ქარი თავშალს გლეჯდა, მაგრამ მემა მაინც მირბოდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა.

დედა სახლში არ დაუხვდა; ბნელაში მოძებნა მსხვილი ნემსი, გულზე გაირჭო და უფრო ჩქარა გამობრუნდა უკან. დიდის გაჭირვებით მოაღწია დორას სახლს. მარდად შევარდა ქოხში და კერვას შეუდგა.

ბებერი უსიტყვოდ შეჰყურებდა ქალს, რომელიც ერთ წამსაც არ ჰკარგავდა.

საყდრიდან გაისმა ზარის რეკა,

–ეს „უკანასკნელია“, დიდედო,–გაისმა საწოლიდან უიმედო ხმა.

ბრიგიტამ ვერც კი მოასწრო პასუხის გაცემა, როცა წამოხტა მემა, აბერტყა თავისი ხელსაქმე და მხიარულად წარმოსთქვა:

–აი, უკვე მზად არი!

დორამ სიხარულით გაიღიმა.

–ქალო, მიშველე, თორემ მარტო ვერ ჩავაცმევ პერანგს,–სთქვა დიდედამ.

დორა წამოჯდა ლოგინზე, მაგრამ დასუსტებული ისევ გადაესვენა ბალიშებზე. შეგეცოდებოდათ ახალგაზრდა კაცი–ისეთი გამხდარი იყო, თრთოლამ აიტანა, სახეზე სიხარულის ალმურმა გადაჰკრა–იმედმა და ქალის სიახლოვემ მთლად გამოაცოცხლა.

–ოჰ, მემა, მემა,–ლოცულობდა იგი, როდესაც ქალებმა „საშობაო პერანგი“ ჩაცვეს და საბანი წაახურეს.

დიდედამ თავი დახარა, პირჯვარი გადასწერა ავადმყოფს და ალერსით სთქვა:

–მართალია, დორა, ის რომ არ ყოფილიყო... მემა... მაგრამ ღმერთი მოწყალეა, მალე მორჩები. მე ორთავეს ერთნაირად შეგიყვარებთ.

ახალგაზრდანი სიხარულით შეჰყურებდნენ ერთმანეთს, და ცრემლები ღაპა-ღუპით სდიოდათ თვალთაგან.

თარგმანი
თამარ კარბელაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო კიდით კიდემდე

პოლანდია

გამახჯობა, სინტერ ხლასს!

შობა-ახალი წლის დადგომამდე ევროპის ბევრ ქვეყანაში ბავშვები მოუთმელად ელიან 6 დეკემბერს წმიდა ნიკოლოზის დღის დადგომას. სწორედ ამ დღეს იღებენ ისინი პირველ საჩუქრებს. დიდი ხნის ნანატრი პაპა სინტერ კლასი (ასე ეძახიან ჰოლანდიელები წმიდა ნიკოლოზს) უკვე ჩავიდა ამსტერდამში და ახლა მთელ ჰოლანდიას შემოუვლის და პატარებს საჩუქრებს ჩამოურიგებს. ჰოლანდიელებს მიაჩნიათ, რომ სინტერ კლასი მათთან ესპანეთიდან ჩადის ხოლმე. სხვათაშორის ეს სწორედ ის სინტერ კლასია, რომელიც დროთა განმავლობაში საყოველთაოდ ცნობილ ამერიკელ სანტა-კლაუსად გადაიქცა.

სინგაპური

საღეჭი რეზინი მხოლოდ ექიმის რეცეპტით

იმის გამო, რომ ქუჩები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები ნაგვიანდება, სინგაპურში თითქმის ათი წელი იყო აკრძალული საღეჭი რეზინის წარმოება და გაყიდვაც. ახლახან ეს აკრძალვა მოიხსნა. ამიერიდან აღარც საღეჭი რეზინის ღეჭვა ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად და მაინც, ყველანაირი „სტიმოროლი" თუ „დიროლი" მხოლოდ აფთიაქებში, და ისიც მხოლოდ ექიმის რეცეპტით გაიცემა, როგორც კბილების გამწმენდი საშუალება.

ირანი

ბახბის მაჰმადიანი მეტოქეები

ამერიკელ თოჯინა ბარბის, რომელმაც ლამის მთელი მსოფლიო დაიპყრო, ირანში ერთბაშად ორი სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა–სარა და დარა. სამამულო

წარმოების სათამაშოს პოპულარიზების და დასავლეთის ზემოქმედებასთან ბრძოლის მიზნით ირანის ხელისუფლებამ ქვეყანაში ბარბის იმპორტი აკრძალა. ბარბის მეტოქე ეროვნული თოჯინის შექმნა კიდევ ერთ მაჰმადიანურ ქვეყანაში, ეგვიპტეში განიზრახეს, მას სახელიც კი შეურჩიეს–ლეილა, მაგრამ საქმე წინ აღარ წასულა, ასე რომ ირანელი თანატოლებისგან განსხვავებით, შავთვალწარბა ლეილას ნაცვლად ეგვიპტელი ბავშვები ისევ ქერათმიანი ბარბით თამაშობენ.

აშშ

კალიფორნიის დისნეილენდში გაიხსნა ახალი ატრაქციონი „ხოჭოების მიწა",

სწორედ ამ ატრაქციონებზე წაიყვანა მოცალეობის ჟამს ჰოლივუდის ვარსკვლავმა მელანი გრიფიტმა თავისი ქალიშვილი.

პოლონეთი

ქვეყანაში განგსტერი გოგონები მომრავლდნენ

პოლონელები სერიოზულად არიან შეშფოთებულები ქვეყანაში გოგონათა ბანდების მომრავლებით. ეს ერთი შეხედვით უწყინარი და მომხიბვლელი 12-16 წლის მდედრობითი სქესის განგსტერები, რომლებსაც ხალხმა „ნასტოლატკები" შეარქვა, არც თანატოლებს ინდობენ და არც უფროსებს. ისინი ძარცვავენ, სძალავენ ფულს, შიშის ზარს სცემენ მასწავლებლებს და თანაკლასელებს, ვაჭრობენ ნარკოტიკებით. პოლონელები ცდილობენ გაიგონ, რა ემართება მათ მომავალ თაობას, რამ გააბოროტა გოგონები, რამ მიიყვანა ისინი ასეთ ცინიზმამდე, და გულგრილობამდე. პრობლემებზე მომუშავე კრიმინოლოგები, ფსიქოლოგები და ოჯახურ ურთიერთობათა სპეციალისტები მთავარ მიზეზს ოჯახში პოულობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალისიანი ბავშვები

მარიჯანი

ბევრზე-ბევრი

გოგიას ძალიან უყვარს ხილი, ტკბილეული, განსაკუთრებით კი გოზინაყი. თუ რამეს მოჰკრა თვალი, აღარ არის მოსვენება. რაც არ უნდა მისცეთ, მაინც ბევრს თხოულობს.

–ბები, მომე ვაშლი! ბევრი ვაშლი!

–ბები, მომე თხილი! ბევრი თხილი! სავსე მუჭა!

–ბები, მომე ბევრი კანფეტი!

ერთხელ ბებიამ ჩაისვა გოგი კალთაში და ეუბნება:

–გოგი, მე ძალიან არ მომწონს, რომ შენ მაგისთანა ხარბი ხარ! რა ამბავია, რომ პირზე მხოლოდ „ბევრი“ და „ბევრი“ გაკერია! აბა, ვნახოთ, რა გაქვს ბევრი.

–თავი–ერთია!

ხელი–ორი!

შუბლი–ერთი!

თვალი–ორი!

ფეხი–ორი!

ხომ ხედავ, ყველაფერი ან ერთი გაქვს, ან ორი.

გოგია დაფიქრდა.

–მე თმები მაქვს ბევრზე-ბევრი!

ბებიას გაეცინა და ისევ ბევრი თხილი მისცა.

ციცქნა კროსვორდი



1. ქართველი მწერალი, „ბიბოს“, „კიტრის ქურდის“, „უკუღმა დაჭედილის“ და მრავალი სხვა საუცხოო მოთხრობის ავტორი; 2. ანდერსენის ზღაპრის „თოვლის დედოფალის“ გმირი; 3. დღესასწაული ანუ... 4. ღამის პეპელა; 5. საახალწლოდ ხილითა და ტკბილეულით მორთული, ბურბუშელასებრ ათლილი ჯოხი.

გააფერადე

მობაკუნობს ჩოჩორი,
ჩამოშლია ქოჩორი,
ზურგზე აუკიდია
ყურძნით სავსე გოდორი.

გამოცანები

ლამაზია, კოხტაა
და ელვარებს ათასფრად,
ვინც მიხვდება რა არი,
მიგვყავს თოვლის პაპასთან.

***

იმ ჩემს ნაცნობს ნუგბარი
მარტო ერთი როდი აქვს;
თუმცა ტკბილზე გიუდება
ჩვენი თაფლილოკია.
ზაფხულობით კარგად ჭამს
–მაჟალოს და პანტას;
კბილს არა სჭრის ნეტავი?
ან რა გემოს ატანს?
შემოდგომით მიირთმევს
წიწიბოს და თხილს,
ზამთარში კი არაფერი
ურჩევნია ძილს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შენზე ფიქრით რომ ათენებს

უხვად გაცემული სიყვარული

ამ თვალმახარა გოგო-ბიჭებისთვის ლალი მჭედლიშვილი პირველი მასწავლებელია. მას ანდეს მშობლებმა თავიანთი პატარები, მან ჩაიბარა ისინი სექტემბრის იმ მზიან დილას და პირღიმილიანი შეუძღვა მათთვის ჯერ უცნობ და საოცნებო სამყაროში, რომელსაც სკოლა ჰქვია. მასთან ერთად გადაფურცლეს ბავშვებმა „დედა-ენა", ანგარიშიც მან ასწავლა, თვლაც. მათთვის ლალი მასწავლებელი უპირველესი და უდავო ავტორიტეტია–მან ყველაფერი იცის, იგი ყველაზე ლამაზია, მას ყველაზე დიდი გემოვნებით აცვია და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. ეჭვიანობენ, თუ ერთს მეტი ყურადღება მიაქცია, თუ რომელიმე სხვაზე მეტად შეაქო, თუ ვიღაცას გაუღიმა და ვიღაცას არა, სწყინთ, იბუტებიან. ლალი მასწავლებელს ყოველთვის ახსოვს ეს და ცდილობს არ გააწბილოს თავისი პატარები. ყველას თანაბრად უწილადებს სიყვარულს, სითბოსაც, ღიმილსაც.

დაწყებითი კლასების მასწავლებლობას რომ ირჩევდა, ფიქრებში ულიმოდა, ეალერსებოდა თავის მომავალ მოსწავლეებს და იმავდროულად უდიდეს პასუხისმგებლობასაც მთლიანად ისიგრძეგანებდა, რომელიც ზოგადად პირველ მასწავლებელს ეკისრება. ერთი რამ კი თავიდანვე ჰქონდა გაცნობიერებული–ოჯახში დაწყებული ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს მისი სკოლაში შესვლის შემდეგ პირველი მასწავლებელი უძღვება და მასზე დიდად არის დამოკიდებული იმ საძირკველის ავკარგიანობა, რომელზეც უნდა აიგოს თითოეულის ადამიანური მეობა. თბილისის 117-ე სკოლა რომ დაამთავრა, ერთხანს 55-ე საშუალო სკოლაში ლაბორანტად მუშაობდა და სწორედ მაშინ მიეცა საშუალება საბოლოოდ შეემოწმებინა თავისი გადაწყვეტილება და როცა დარწმუნდა, რომ მისი მოწოდება მასწავლებლობა, ბავშვებთან მუშაობა იყო, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა. ინსტიტუტმა ბევრი რამ მისცა, განსაკუთრებული სითბოთი და მადლიერებით იხსენებს ქალბატონი ლალი ჭოლა თევზაძეს, ალექსანდრე ონიანს, სხვა ლექტორებს. დღესაც ახსოვს თავისი პირველი გაკვეთილი, ღელვა, პირველ პირველკლასელებთან შეხვედრის შიში და სიხარული, მერე მათთან განშორების ტკივილი...

ხომ ამდენი წელია ლალი მჭედლიშვილი მასწავლებელია, ამდენი პირველკლასელისთვის უსწავლებია ანბანი, ამდენი გოგო-ბიჭები მიუცილებია მომდევნო საფეხურამდე, მაგრამ პატარების ყოველ ახალ წყებასთან შეხვედრის წინ ძველებურადვე ღელავს და ძველებურადვე წყდება გული, როცა მათ შორდება. ისინი კი სკოლის დამთავრების შემდეგაც არ ივიწყებენ, შემოუვლიან, მოიკითხავენ, თავს შეახსენებენ, მიესიყვარულებიან, ქათინაურს ეტყვიან.

ლალი მჭედლიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელია 55-ე სკოლაში. მოსწავლეებს ხომ უყვართ და უყვართ, და მათი მშობლებიც ძალიან ემადლიერებიან, კოლეგებიც დიდ პატივს სცემენ. ლალი მასწავლებლის გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო, ხალისიანი და მრავალფეროვანია. იგი ერთი შეხედვით მოსაწყენ ბავშვთა უფლებების კონვენციასაც ისე უხსნის, რომ უკლებლივ ყველა მოსწავლე სიამოვნებით სწავლობს ჩვენს სკოლებში შემოღებულ ამ ახალ საგანს. ლალი მასწავლებელს ექსკურსიებზეც ხშირად დაჰყავს თავისი პატარები, ცდილობს გააცნოს მათ თბილისის და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობები. ოჯახში ეხუმრებინ ხოლმე შენს მოსწავლეებს უფრო მეტ დროს უთმობ, ვიდრე საკუთარ ქმარ-შვილსო. თუმცა ამ ხუმრობაში სიმართლეც ბევრია, ეს ყოველთვის მხოლოდ ხუმრობაა და საყვედურში არასდროს გადაზრდილა, იმიტომ, რომ ლალი მასწავლებლის მეუღლესაც და შვილებსაც კარგად ესმით მისი საქმიანობის დიდი მნიშვნელობა. სხვათაშორის ქალბატონი ლალი და მისი მეუღლე ბატონი ზურაბ შაქარაშვილი თანაკლასელები არიან, სკოლის წლებში ჩასახული გრძნობით შეუღლდნენ და დღეს ორ კარგ შვილს –შალვასა და ავთანდილს ზრდიან. შალვა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია, ავთანდილი კი ამავე, 55-ე სკოლის მეცხრეკლასელია.

თურმე ჩემი მასწავლებელი...

ცისანა უტიერაშვილი

ცისანა უტიერაშვილი თბილისის 55-ე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელია. ქალბატონ ცისანას ძალიან უყვარს პოეზია და იგი თვითონაც მშვენიერ ლექსებს წერს. გთავაზობთ ცისანა მასწავლებლის ჩამდენიმე ლექსს.

თქვენს ნაღვაწს ვლოცავ

(55-ე საშუალო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგებს)

თქვენს ნაღვაწს ვლოცავ,
განათებულს ზამბახთა შუქით,
ვით მარმარილოს უნატიფეს ვარდისფერ სვეტებს,
ვით „იავნანას“ და ცხოვრების იმ ლამაზ წესებს,
რომ გაატანეთ თქვენს გაზრდილებს პატარა ლუქით.
ნაღვაწს გილოცავთ–
გაზაფხულის ღვთაებრივ მზეებს,
მრავალჯერ უკან დაბრუნებულ ლამაზ ბავშვობას,
პირველ გაკვეთილს, ბავშვები რომ სანთლებად გე-
დგნენ,
სხივით მოსილნი!
დედაენაზე სონეტივით ბავშვთა ღუღუნი.
მტრედთა ხუნდების მუსიკალურ მარცვალთა დენა.
მყვირალობისას გისმენიათ ხართა ბუბუნი,
თვით შეგიქმნიათ ხელთუქმნელი ის დიადემა,
რამაც დაგხატათ: მშობლად, მწვრთნელად, ბავშვთა
აღმზრდელად.
ჩვენი ცხოვრების უზენაეს და წმიდა მსაჯულთ
მე ამ ლექსს გიძღვნით, უნაზესი ფიფქივით წმიდას.

ანგელოზ

სიონის კედელს სურო ჰფარავდა
და ვარდი ახლდა ეკლიან ტოტებს,
ვიღაც მხატვარი ხატებს ხატავდა
და აფარებდა დაწყვეტილ ფოთლებს.
–სიოს სციოდა შემოდგომისას,
–სული სტკიოდა ნატყვიარ ფიჭვებს.
–კედელს, მშფოთვარეს, ქაშუეთისას,
–ქარით ავსებულ ავყია იჭვებს,
გულს უმშვიდებდა მთაწმინდა თმენით.
ქრიზანთემების იდგა გოდება.
მოწამეთაზე ვიდექი რწმენით
ჟამთააღმწერის სიმარტოვესთან.

ნასოჯნ

მე დავიტოვე შენი ლარნაკი,
უკვდავებით და სიცოცხლით სავსე,
მე დავიტოვე შენი ნასვამი
თუნგით ბალზამი.
გიბრუნებ ვარდებს, თეთრად გადაშლილ
შენს ნაყიდ ვარდებს.
დე, უვარდებოდ დამრჩეს ლარნაკი,
ბზისფერ სურაში იები დაჭკნეს,
თუნგში ჩამიშრეს წამის წამწამი,
ოღონდ იქ შენი სულის ლამპარი
ენთოს, მათბობდეს მათი სისავსე.
სანთლის ლაპლაპი?
ღვინის კამკამი?
ეს ჩემგან დაგრჩეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსიქოლოგიური ტესტი

ვინ ვინ არის



მეტისმეტად სერიოზულად ნუ აღიქვამთ ამ ტესტს, უბრალოდ გასაქანი მიეცით ფანტაზიას და ეცადეთ მიღებული პასუხების საფუძველზე საკუთარი ხასიათის ნიშან-თვისებებში გაერკვეთ.

აიღეთ ქაღალდის თითო ფურცელი, რომელზეც აქ შემოთავაზებულის მსგავსი ოთხი კვადრატი იქნება გამოსახული. (უმჯობესია 10X10 სანტიმეტრის ზომის კვადრატული ბარათები აიღოთ). მოიმარჯვეთ ფანქარი და ჩახატეთ კვადრატებში ის, რაც მოგესურვებათ, ოღონდ ნუ დაარღვევთ აუცილებელ პირობას–უნდა გამოიყენოთ კვადრატში მოცემული დეტალები (თუ დეტალები მოცემულია).

პირველი კვადრატი. კვადრატში თავიდანვე მოცემული წერტილი გაზრდილია? მოცემული წერტილი იმ ნახატს დაედო საფუძვლად, რომელზეც ტესტების მონაწილემ თვალი, მზე ან ყვავილი გამოსახა? თუ ასეა, გამოდის, რომ ამ ნახატის ავტორი მტკიცე ხასიათის ადამიანია. ხოლო ის, ვინც წერტილის გარშემო კვადრატი ან რაიმე სხვა ფიგურაც დახატა, მაინცდამაინც გაბედული არ უნდა იყოს. თუ რომელიმემ კვადრატში კიდევ რამდენიმე წერტილი ჩახატა, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ის ფრთხილი და გაუბედავი ადამიანია.

მეორე კვადრატი. კლაკნილი ხაზის თავზე გამოსახული ნავი თუ გემი გეუბნებათ, რომ ამ ნახატის ავტორი სწრაფად ერკვევა სიტუაციაში. ხაზის კვადრატის კიდეებამდე გაგრძელება პუნქტუალობის, უფრო მეტიც–პედანტურობის ნიშანია. თუ ტესტის მონაწილემ გაიმეორა კლაკნილი ხაზი, იცოდეთ, რომ იგი ადვილად ექცევა სხვისი ზეგავლენის ქვეშ.

მესამე კვადრატი. მესამე კვადრატში მიღებული ნახატის მიხედვით შეგიძლიათ იმსჯელოთ, საიმედოა თუ არა მისი ავტორი მეგობრობაში. პასუხი დადებითია იმ შემთხვევაში, თუ ის, რაც თავიდან იყო დახატული კვადრატში, ახალი ხაზებით არის შეერთებული. სხვა შემთხვევაში კი გადაჭრით ვერაფერს იტყვით.

მეოთხე კვადრატი. რას ჩახატავს ადამიანი ამ ცარიელ კვადრატში? თუ ყვავილს, ჩიტს, რაიმე სასიამოვნო სურათს, იგი მგრძნობიარე და ემოციური ყოფილა. წრე ჩახატა? ასეთი ადამიანის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება დისციპლინიანობაა. კვადრატებში კვადრატში ჩამხატველი მეტისმეტად პედანტური და შეიძლება გულდახურული ადამიანი გახლავთ.

თუმცა ეს საახალწლო ტესტი სახუმაროა, იმედია, იგი ბევრ თქვენგანს სერიოზულად დააფიქრებს და საკუთარი ხასიათის ავკარგიანობის დადგენაში დაეხმარება.

იცი, რას ნიშნავს შენი სახელი?

ვაჟის სახელები

ერეკლე–წარმოიქმნება ბერძენთა გმირის ჰერაკლეს სახელისგან, თავად ჰერაკლე კი ნიშნავს „ჰერას (ზევსის ცოლის) დიდებას. იგივეა ირაკლი.

ვალერი– (დათ.) „ძლიერი", „მხნე", „ახოვანი".

ვამეყ, ვამეხ (არაბ.) „მოყვარული".

ვაჟა– ვაჟკაცის, ვაჟის აღმნიშვნელი ქართული სახელია. იმსი ვარიანტებია: ვაჟიკა, ვაჟია.

ვარლამ (ქალდეური)–„ხალხის შვილი".

ვასილ (ბერძ.)–„სამეფო" ქართულში იხმარება შემოკლებული ვარინტი „ვასო".

ვაჩე (ირან.)–„შვილი", „ნაშობი", „ბიჭი".

ვახტანგ (ირან.)–„მგლისტანიანი".

ვეფხია–ქართული სახელია.

ვიტალი (ლათ.)–„სასიცოცხლო".

ვიქტორ (ლათ.)–„მოხუცი", „ბერი".

ზაზა (ებრ.)–„სიუხვე".

ზაქარია (ებრ.) „ღვთისაგან დაუვიწყარი".

ზეზვა–ქართული სახელია.

ზვიადი–ქართული სახელია. „ამაყი", „მედიდური".

ზურაბ (სპ.) „წითლად მოელვარე".

თამაზ (ირან.)–„ძლიერი ცხენი", „ძლიერი ცხენის პატრონი".

თარხან (თურქ.–მონღ.)–„თავისუფალი".

თაყა –ქართული სახელია,

თეოდორე (ბერძ.)–„ნიჭი ღვთისა".

თეიმურაზ (ირან.)–ამ სიტყვის პირველი ნაწილი ნიშნავს „ძლიერს", მეორე ნაწილის მნიშვნელობა დაუდგენელია.

თემურ (თურქ. მონღ.)–„რკინა".

თენგიზ (თურქ.)–„მარჩბივი".

ივანე (ებრ.)–„ღვთის წყალობა";

ივერი –ქართული სახელია, მომდინარეობს ქართველთა სატომო სახელწოდებიდან.

ილია (ელია)– ებრაულად ნიშნავს: „სიმაგრე ღვთისა".

იმედა–ქართული სახელია.

ქალის სახელები

იამზე – ქართული სახელია.

იზოლდა (ინგლისური)–„გამოჩენილი მეომარი".

ირინე (ბერძ.)–„მშვიდობა", შემოკლებული ფორმაა ირა.

ირმა– ქართული სახელია.

კეკელა, კეკე– ქართული სახელია, ნიშნავდა „ქორფას", „მშვენიერს".

კესანე– ქართული სახელია, კესანე მთის ყვავილია.

ლალი (ირან.)–„წითელი, „ელვარე".

ლამარა– ქართული სახელია. მომდინარეობს სვანეთში არსებული მარიამის სახელობის ტაძრის სახელწოდებისგან ლამარია.

ლამზირა– ქართული სახელია, სვანურად „სალოცავს" ნიშნავს.

ლეილა (არაბ.)–„ღამე", „შავგვრემანი".

ლელა– ქართული სახელია.

ლია–(ებრ.) „ხბო", „დეკეული".

მაია–ასე ერქვა ძველი ინდური ღვთაების–ბუდას დედას, აგრეთვე მერკურის შვილს ბერ. მით-ში.

მაკრინე (ბერძ.)–„ხმელი".

მანანა–ბიბლიური სახელია, ნიშნავს „ცით მოვლენილს", „მცირეს", „პატარას".

მარადი– ქართული სახელია.

მარეხ – ქართული სახელია. ქართულად მარეხი ეწოდება პლანეტა მარსს, გადატანითი მნიშვნელობით კი ლამაზ ქალს.

მართა (სირიული)–„დიასახლისი", „ქალბატონი"., **მარიამი** (ბერძ.)–„შეუპოვარი", „სახელოვანი".

მარინე (ლათ.) „ზღვისა".

მაყვალა – ქართული სახელია, ნიშნავს „შავტუხას".

მეგი–მაგდას ინგლისური ფორმაა.

მედეა – ძველი ქართული სახელია.

მელანია (ბერძ.)–„შავი".

მერი–მარიამის ინგლისური გამოთქმაა.

მზაღო–ჩერქეზული სახელია და ნიშნავს „მოუსვენარს".

მზევინარი – ქართული სახელია.

მზეონა, მზექალა, მზეხა, მზეხათუნი, მზია, მზიულა– ქართული სახელებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძველა კარგად ლაჩანარით მრავალ ანალ ფელ ლიდითა“

ჰოგოჰ ხვდებოდნენ ახალ წელს ძველ თბილისში

XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის ძველი თბილისი, თავისი განუყრელი პერსონაჟებით, სხვადასხვა რჯულისა თუ ეროვნების მოსახლეობით, ადათებითა და წეს-ჩვეულებებით, ღია ცის ქვეშ გაშლილ დიდ თეატრს მოგაგონებდათ.

ძველი თბილისის ქუჩაბანდებში შეგეძლოთ გენახათ ყოჩების ჭიდილი, მამლების ძიძგილაობა, ყვენობა, მზითვის ჩვენება, ამქართა სადღესასწაულო სვლა, ყარაჩოხელთა ქეიფი, ლოყებდაბერილი მედუდუკეები, არღანზე მოქეიფე კინტოები, მექელეხეები, კრივი, ქართული ჭიდაობა, წრე-ლახტი, ჩილიკა-ჯოხი და კიდევ მრავალგვარი სანახაობა. გარდა ამისა, ქალაქელთა ყოფაში დიდი ადგილი ეკავა საეკლესიო დღესასწაულებს: „წყალკურთხევას:, „კვირაცხოვლობას“, „მამადავითობას“, „ბარბარობას“, „თელეთობას“, „სიონობას“, „ანჩისხატობას“ და მრავალ სხვას.

წლის პირველი დიდი დღესასწაული, რომელსაც ერთნაირად სცემდა პატივს ყველა, განურჩევლად საზოგადოებრივი მდგომარეობისა, იყო ახალი წელი, ვინაიდან ახალი წელი იყო სიკეთის, ბარაქის, იმედის მოტანილი წელი.

ახალი წლის დადგომამდე, რამდენიმე დღით ადრე, ოჯახის დიასახლისი იწყებდა სახლის საგულდაგულოდ დალაგება-დასუფთავებას, იხვეტებოდა ოთახები, იბერტყებოდა ფერად-ფერადი ნოხები და ფარდაგები; მზადდებოდა ნაირ-ნაირი პირის ჩასაკოკლოზინებელი ტკბილეული და ნამცხვარი, და რაც მთავარია, გოზინაყი.

ახალი წლის წინადღეს, 31 დეკემბერს, არ იყო ოჯახი, რომელიც გოზინაყისთვის წვრილად არ ჭრიდა ნიგოზს, ანდა ნუშს. დაჭრილ ნიგოზს ჯერ ცეცხლზე მოხალავდნენ, შემდეგ კი ადუღებულ თაფლთან ერთად მოხარშავდნენ. ცხელი ნიგოზის ფაფას ცივი წყლით დასველებულ საგანგებოდ დამზადებულ ფიცარზე, ანდა სინზე მოასხამდნენ და გააბრტყელებდნენ. გაციების შემდეგ გოზინაყს ჭრიდნენ სამკუთხედის ანდა რომბის ფორმის პატარ-პატარა ნაჭრებად.

ქართველის ოჯახში გოზინაყთან ერთად ამზადებდნენ ანთროპომოზული ფორმის ადამიანის გამოსახულების მქონე ნამცხვარს–ბასილას, რომელიც ქრისტიანულმა რელიგიამ წმიდა ვასილ დიდს დაუკავშირა. ცხვებოდა აგრეთვე სხვადასხვა ფორმის ნამცხვარი, რომელთაც ბედნიერების მოტანის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

ბედნიერების მომტან ნამცხვარს აყრიდნენ ქიშმიშს. ცხობის პროცესში ცომი კარგად უნდა გაფუებულიყო და აწეულიყო. ცომის დაცემა ცუდის მომასწავებელი იყო.

ახალი წლის დადგომის წინ ძველ თბილისში ისეთი თოფების სროლა და ყიჟინა ატყდებოდა ხოლმე, რომ, თუ არა სადღესასწაულოდ განათებული ქალაქი, კაცს მტრის შემოსევა ეგონებოდა.

ახალი წლის დადგომისას ოჯახის დიასახლისი ტაბლაზე დადგამდა მურაბით, გოზინაყით, ნამცხვრეებითა და ხილით სავსე სინს და ტაბლას გარშემო წმიდა სანთლებს დაუნთებდა.

გათენებისას ოჯახის უფროსი გარეთ გადიოდა და ნაკოდალი (შეშის ნაჭერი), ანდა მუგუზალი შემოჰქონდა. შემდეგ მუგუზალს ბუხართან ან კერასთან მიიტანდა და ძირს დარტყმით უამრავ ნაპერწკალს გააყრევინებდა, თან გაიძახოდა: ამდენი ოქრო, ხორბალი, პურიო და ა.შ. იღებდა ჯიბიდან ხორბალს და ოთახის ყოველ კუთხეში აბნევდა, რათა ოჯახს ბარაქა და ხორაგი არ მოკლებოდა. თაფლში ამოვლებულ პურს აჭმევდა ოჯახის ყოველ წევრს, ასე ტკბილად დაბერდითო.

ახალი წლის ცერემონიალში დიდი ადგილი ეკავა ოჯახის მეკვლეს, რომლის „ფეხზეც“ დამოკიდებული იყო ოჯახის ბედნიერება თუ უბედურება. როგორც წესი, ოჯახი წინასწარ ირჩევდა სასურველ მეკვლეს. მეკვლე არჩეულ ოჯახში ადრე უნდა მისულიყო, რომ მისთვის სხვას არ დაესწრო. ზღურბლს გადააბიჯებდა თუ არა, უნდა წარმოეთქვა:

შემოვდგი ფეხი.
გწყალობდეთ ღმერთი,

ფეხი ჩემი
კვალი ანგელოზისა,

შემდეგ გადაკოცნიდა ოჯახის ყველა წევრს, ტკბილის მიწოდებით დააბერებდა და ასე შემდეგ. მთელი დღე ქალაქში დუდუკის, ზურნის და არღნის ხმა ისმოდა.

აი, როგორ ილოცებოდა ერთ ხალხურ ლექსში მეკვლე:

ხელში ორ ჭიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით
მრავალ ახალ წელს დილითა.
ნათლიმამა თან მოგდევდეს,
თაფლი მოჰქონდეს ქილითა,
ხურჯინი სავსე მოჰქონდეს
ჩურჩხელითა და ხილითა.
დილითვე არაყს მიირთმევთ,
ხილსაც მოგართმევთ სინითა,
ეს ჭიქა დიდი ყოფილა,
მეც ხომ ვითვრები ღვინითა,
როცა ძაან დავითვრები,
გვიან ავდგები დილითა.
თქვენი კოდები ყოფილა
სავსე და წმიდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა
სავსე წითელი ღვინითა...

ახალ წელს ქალების ოჯახიდან გასვლა აკრძალული იყო. ისინი შინ უნდა მსხდარიყვნენ და სტუმრები მიეღოთ.

თეიმურაზ ბერიძის
წიგნიდან „ძველი თბილისის სურათები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკსტრაღიაში სეიიოზულად ახიან შეშფოთებულები სიმპათიური ჩანთოსანი დათვების, ჯოაღების ჰაოდენობის ჯეებით. ნელს ჩატარებული ჯოაღას დაცვის ტრადიციული დღეს საქვეყნოდ გამოცხადდა საგანგაშო მონაცემები: ყოველწლიურად ამ დათუნიების ჰაოდენობა ათასით მცირდება.

ოთხი თვის ასაკში დაობღებული ამ პატარა ჯოაღას ჯი ნამდვილად ბედმა გაუღიმა.

ადამიანების ზრუნვისა და მოვლა-პატრონობის წყალობით იგი გადარჩა და ეხთი დღითაც არ უგრძვნია ობლობა, ვიდრე ნამოიზრდებოდეს, დედის მუდრო და თბილ ჩანთა-მუცლის მაგივრობას ჯი ეს ჯარგად დათბუნული ყელიანი ფეხსაცმელი უნევს.

???

ხიტბილის გაკვეთილი



მასწავლებელი:–გუშინ რატომ არ იყავი გაკვეთილზე?

ჟანი:–თქვენ არ მითხარით, პატივცემულო, თუ გაკვეთილი არ გეცოდინება, თვალით არ დამენახოო?!

***

მამა:–კარგი მასწავლებელი გყავს, შვილო?

შვილი:–კარგი კია, მაგრამ შენი შურს.

მამა:–ჩემი? რატომ?

შვილი:–სულ იმას ამბობს, მე რომ მამაშენი ვიყოო...

***

–როდისაა ყველაზე საინტერესო გადაცემები ტელევიზიით?

–როცა გაკვეთილები გვაქვს სასწავლი.

***

–აფრიკა უფრო შორსაა ჩვენგან თუ მთვარე?

–აფრიკა!

–რატომ?

–იმიტომ რომ მთვარეს ხანდახან მაინც ვხედავთ, აფრიკას კი ვერა.

***

პიერი სკოლაში ხელდაუბანელი დადიოდა, მასწავლებელმა გადაწყვიტა შეერცხვინა იგი და მთელ კლასს აჩვენა მისი ხელი.

–რას ჰგავს ეს, პიერ! მეორე ასეთ ჭუჭყიანი ხელს მთელ კლასში ვერ იპოვნი!

პიერმა სწრაფად ასწია მეორე ხელი.

***

ცირკში ჯამბაზმა დარბაზიდან ბავშვი იხმო.

–შეგიძლია, ბიჭუნა, ამ ქალბატონებს და ბატონებს დაუმტკიცო, რომ პირველად მხედავ?

–კი, მამა.

***

მღებავის განცხადება

„ეს-ესაა, მოვრჩი ჭერის შეღებვას. ფრთხილად იყავით, გეთაყვა, ნურავის დართავთ ნებას, რომ ზედ გაიაროს“.

***

პატარა პეტერი მამასთან ერთად მისეირნობდა. უცებ ძაღლი ყეფით გამოუვარდათ. შეშინებულმა პეტერმა გაქცევა დააპირა, მაგრამ მამამ დაამშვიდა:

–ნუ გეშინია, ჩემო ბიჭუნა, მყეფარი ძაღლი არ იკბინება.

–მაგრამ ყეფა რომ შეწყვიტოს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწილო-მიწილო

კროსვორდი



შვეულად: 1. სახელმწიფოში შესვლის, იქიდან გამგზავრების ან მის ტერიტორიაზე გავლის ნებართვა; 2. მტაცებელი ფრინველი; 3. ლითონის ცეცხლგამძლე კარადა; 4. ირანული ფულის ერთეული; 5. აშშ-ს პარლამენტის ზედა პალატა; 6. მოძრაობათა, ბგერათა თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა; 7. კანფეტი; 8. მაყურებლისათვის განკუთვნილი სართული თეატრში. 11. რკინიგზის პატარა ვაგონი, რომელიც მოძრაობს შიგაწვის ძრავით ან ხელით. 14. ცხენოსანი ჯარი; 15. ნიანგის სახეობა; 16. შესრულებული საქმე, მოვალეობა; 18. სამყარო როგორც მთლიანობა; 19. რომელიმე ორგანოს დასუსტება ხანგრძლივი უმოქმედობის გამო; 29. უაზრობა, შეუსაბამობა; 39. ქალის სახელი; 34. სიგრძის საზომი ერთეული; 36. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის. 37. აზოტმჟავა ვერცხლი, უფერო კრისტალური ფხვნილი; 38. სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 39. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 42. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი გერმანულში; 43. რაიმე საბუთის, სურათის პირი.

თარაზულად: 5. ალკოჰოლით მდიდარი, ადვილად აალებადი სითხე; 6. წყარო, საიდანაც იძენენ ახალ-ახალ ძალებს, საშუალებებს; 9. მოედანი კრივისათვის; 10. კონუსის ან ნახევარსფეროს მოყვანილობის ქეჩის კარავი; 12. დაშლა, დაყოფა, დაქუცმაცება, გაბნევა, ანუ? 13. მწვანილის სახეობა; 16. სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი; 17. შენობაში ამოყვანილი ღია აივანი; 20. ოფიცრის პირველი ჩინი რევოლუციამდელ რუსეთში; 21. ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფრო ლითონი; 22. სახალხო მომღერალი უკრაინაში. 23. აქროლადი ნივთიერებების კონცეტრირებული ხსნარი; 25. სისხლძარღვი, 26. ფეხბურთელის სათამაშო ფეხსაცმელი. 27. გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის" მოქმედი პირის სახელი; 28. რიცხვი; 30. მუსულმანთა ღმერთი; 31. გზა, რომელსაც გადის გემი, თვითმფრინავი, ავტობუსი და სხვა; 32. წონის საზომი ერთეული; 35. თვე; 36. გამის პირველი, ძირითადი ბგერა; 40. მაჰმადიანთა რელიგია, მუსულმანობა; 41. შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე, უძრაობა, ჩამორჩენილობა; 44. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, რომელიც არ ატარებს სითბოსა და ელექტრობას.

რედაქტორი მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157

ფასი 1 ლარი 50 თეთრი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში



იპოვეთ ათი განსხვავება

„ახთ-ჰოლის" სტუდიელები

თბილისის 55-ე სკოლა, II ჯერადი.
ხელმძღვანელი ღარი მჭედლიშვილი

თბილისის 55-ე სკოლა, II ჯერადი.
ხელმძღვანელი ცისანა უტახაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ხედავთ თუ როგორი გატაცებით ხატავს თინიკო, მისი ნახატები კი არ ვინახავთ. ჩვენ ისინი გვინახავს და გვინდა დავარწმუნოთ, რომ თინიკო ძალიან, ძალიან კარგად ხატავს. გარდა ამისა, ასევე კარგად მღერის. ერთ საიდუმლოსაც გაგანდობთ– თინიკოს გემრიელი სასუსნავისთვის სული მისდის. 29 დეკემბერს თინათინ მეგრელიშვილს 4 წელი უსრულდება, ვულოცავთ მას დაბადების დღესაც და დამდეგ ახალ წელსაც. ვუსურვებთ ბედნიერებას, სიხარულს და წარმატებებს!

ლოტნე ხუცურაული ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლის მეოთხეკლასელია. ვონიერი და გულმოდგინე უმაწვილი სიამოვნებით და ხალისით ეუფლება იტალიურ ენას, ერთნაირად ბევრითობს უყვარს დანარჩენ საგანში. ლოტნე მშვენივრად ხატავს და ძერწავს, ძალიან უყვარს მუსიკა. სპორტის ყველა დანარჩენ სახეობას ლოტნემ ცურვა არჩია და ბიჭი ახლა ცურვით იკაჟებს სხეულს.

შენნაირებში ხედავს ქვეყანა თავის მომავალს, შენნაირებისა ეიმედება ხალხს და შენ იცი, ლოტნე, ნურავის გააწბილებ!

შობა-ახალ წელს გილოცავთ!
ძრიელს დაესწრით
აყვავებულ, აღორძინებულ
საქართველოში!

სალომე ერისთავი,
თბილისის 53-ე
საშუალო
სკოლა,
V კლასი

„ნაჯახდოლის“ ჯეჩნისაური

გიორგი ასათიანი, კეთილშობილ
ქალთა და ვაჟთა პანსიონი „მთიები“,
V კლასი

მარიამ თრიდონიშვილი,
თბილისის 191-ე სკოლა,
VII კლასი